ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „მოსამართლეები, ვინც ნაციონალების დავალებებს ასრულებდნენ, „ოცნების“ ჯიბეში გადაბარგდნენ“

შალვა ხაჭაპურიძე: „მურუსიძე რომ სასამართლო სისტემის ხელმძღვანელი იქნება, რა უნდა ვილაპარაკოთ იმ სასამართლო სისტემაზე?!“



გვ.7

15 თებერვლიდან

დაბნელება

სტეფანი მეიერი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




ოთხშაბათი, 15 თებერვალი, 2017

№38 (7273)

ფასი: 50 თეთრი

# მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი: „ჩვენი სიმართლე რადიკალურად სხვა არის“




გვ.2



## საია: „ხელისუფლება უდანაშაულობის პრეზუმპციას არღვევს“

დაკავებული დეკანოზის დედა: „ჩემი შვილი პატიოსნად საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცავდა"



## ცხოველთა მონიტორინგის სამსახურმა პრემია-დანამატების რეკორდი მოხსნა

გვ.4



მარიამ ქელბაქიანი: „ამ სამსახურის უფროსის მოადგილეებმა უფრო მეტი პრემია-დანამატი აიღეს, ვიდრე მერის და მინისტრის მოადგილეებმა“

## დაიჭერენ თუ არა ნიკა გვარამიას?

გვ.4







თუ მას დააკავებენ, რუსთავი 2-ის გენდირექტორის მოვალეობას ზაალ უდუმაშვილი შეასრულებს



გვ.3

## თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლება მედიის ხელში ჩაგდებას ცდილობს“

„ივანიშვილს გვერდით ჭკვიანი ადამიანები აღარ ჰყავს“

ISSN 1987-9385

## „რაჭაში ჰესების მშენებლობა რეგიონის მიკროკლიმატს სერიოზულ საფრთხეს უქმნის“



გვ.6

## სამეგრელოში ტურისტული მარშრუტი „ტობას“ განვითარება იწყება

გვ.6



# მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი: „ჩვენი სიმართლე რადიკალურად სხვა არის“

## საია: „ხელისუფლება უდანაშაულობის პრეზუმპციას არღვევს“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის სკანდალი ახალი ძალით გრძელდება.

ხელისუფლების პირველი პირების მიერ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, საპატრიარქოში არ სჯერათ, რომ მამა გიორგი მამალაძე მაღალი რანგის სასულიერო პირის მოწამვლას აპირებდა.

ამასთან დაკავშირებით ეჭვები ომბუდსმენის განცხადებამაც გააჩინა.

უჩა ნანუაშვილმა დაკავებული მამალაძე საპატიმროში მოინახულა. შეხვედრის შემდეგ ომბუდსმენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მამა გიორგი მამალაძე ბრალს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მას ციანიდი არ ჰქონია.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, მასთან საუბრისას დეკანოზმა გიორგი მამალაძემ აღნიშნა, როდესაც მას ბრალი გააცნეს, ბრალში სასულიერო პირზე საუბარი არ იყო.

— ის ამბობს, რომ სასულიერო პირზე და უმაღლესი იერარქიის მქონე სასულიერო პირზე საერთოდ არ არის საუბარი ბრალში, რომელიც მას წარედგინა. მე ყველა დეტალს ვერ ვიტყვი და თვითონაც არ უსაუბრია ამაზე, თუმცა ამბობს, რომ გაჟღერებული ინფორმაცია, თითქოს მაღალი იერარქიის სასულიერო პირზეა საუბარი და გამიზნული იყო კონკრეტული დანაშაული, ამაზე ბრალში საერთოდ არ არის საუბარი, — განაცხადა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი ამბობს, რომ საქმესთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჩნდება. მისი თქმით, უკეთესი იქნება თუ საგამოძიებო უწყება ინფორმაციებს გაასაჯაროებს.

ნანუაშვილის განცხადებით, მამა გიორგის დაკავება, სავარაუდოდ, პროცედურული დარღვევებით მოხდა.

მისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ დეკანოზს ერთი ზარის განხორციელების უფლებაც არ მისცეს და ბრალი თავის დროზე არ გააცნეს.

ნანუაშვილის განცხადებითვე, დეკანოზი გიორგი მამალაძე ოჯახის უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს.

დაკავებულის უსაფრთხოების დაცვა კი მეუფე პეტრემ მოითხოვა. მან ამ თხოვნით ოფიციალურად მიმართა სათანადო ორგანოებს.

ობუდსმენის მიერ გახმაურებული ინფორმაცია, რომ მამა გიორგი მამალაძე მისი ოჯახის უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს, დედისთვის, ქეთევან მაღლაკელიძისთვის, არ იყო ცნობილი.

მისი თქმით, მამა გიორგი სამსახურის დეტალებზე ოჯახში არ საუბრობდა და მათ აქამდე საფრთხე არ დამუქრებიათ.

მისი შვილის მიმართ წაყენებულ ბრალს ქეთევან მაღლაკელიძე აბსურდულს უწოდებს. ამბობს, რომ მამა გიორგი პატრიარქს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცავდა.

— ინფორმაციებს, რაც ვრცელდება, ვგებულობთ მედიით. რადგან ჩემი შვილი დუმილის უფლებას იყენებს, ჩვენც ვდუმდით და არაფერს ვამბობდით. როგორ შეიძლება მღვდლის დედას იმ ინფორმაციის სჯეროდეს, რაც პროკურატურამ დადო? — ეს პირველი და უმთავრესი.

მეორე ის, რომ ეს ბავშვი ქუჩიდან არ მოსულა — შეგნებულად, ბავშვობიდან ეკლესიაშია და მე, როგორც ოჯახის წევრმა, შემიძლია მის სიცოცხლეზე დავიფიცო, რომ პატრიარქის გამო საკუთარ ოჯახს გადაწევს უკანა პლანზე. ეს ყველაფერი სისულელეა, — აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში მაღლაკელიძე.

დაკავებული დეკანოზის დედა იმასაც ამბობს, რომ მასთან სამართალდამცველები არ მისულან და არც ჩხრეკა ჩატარებულა მათ საცხოვრებელ ბინაში.

დაკავებული სასულიერო პირი მისმა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამაც მოინახულა. ადვოკატი, პროკურატურის მოთხოვნით, საქმის დეტალებს არ ახმაურებს, რაც მას საქმიანობაში ხელს უშლის.

ადვოკატი ითხოვს, რომ პროკურატურამ გააუქმოს გაუთქმელობის პირობა.

— მე რომ ვითხოვ პროკურატურისგან გაუთქმელობის პირობის გაუქმებას, ვითხოვ იმის გამო, რომ ძალიან ბევრი სათქმელი გვაქვს. სახალხო დამცველის განცხადებას რაც შეეხება, ამის დადასტურება არ შემიძლია, თუმცა სახალხო დამცველი ტყუილად არაფერს ამბობს. შესაბამისად, მე სახალხო დამცველის ნათქვამს არაფერში ვეწინააღმდეგები, შინაარსობრივად ვერ დაგიდასტურებთ, თუმცა გეტყვით, რომ უამრავი სათქმელია, მაგრამ ინფორმირება არის ცალმხრივად და სწორედ ამიტომ გვაქვს პროკურატურისგან ასეთი მოთხოვნა.

ჩვენ გვინდა პროკურატურასთან თანამშრომლობით დადგინდეს სიმართლე. სიმართლე ნამდვილად არ არის ის, რისი ტირაჟირებაც ხდება. ჩვენი სიმართლე რადიკალურად სხვა არის, ჩვენი სამართალი აბსოლუტურად სხვა არის, ამაში ბევრი რამეა ნაგულისხმევი. იქამდე, სანამ პროკურატურის ნებართვა არ იქნება, ვერ ვსაუბრობ დეტალებზე, მათ შორის, პროცედურულ დარღვევებზე, — განაცხადა ადვოკატმა.

გიორგი ფანცულაია ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სასულიერო პირებთან შეხვედრას ითხოვს. მისი თქმით, მამა გიორგი ამ შეხვედრის გარეშე ჩვენების მიცემასაც ვერ შეძლებს.

— მამაოს პოზიცია არის ის, რომ როცა შეძლებს საუბარს, ისაუბრებს კომპლექსურად. ის ასევე ამბობს, რომ არის სასულიერო პირი, რომელსაც აქვს კანონიკური წესები, თუნდაც იმისთვის, რომ მან მისცეს ჩვენება და ისაუბროს ბრალდებებზე, ყველაზე მინიმუმ შესაბამისი იერარქიული პირებისგან სჭირდება კურთხევა. იმედი მაქვს, რომ სასულიერო პირებთან უახლოეს მომავალში შეძლებს კომუნიკაციას, — განაცხადა ფანცულაიამ.





საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კი გაუმართლებლად მიიჩნევს დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ პროკურატურის წარმომადგენელთა და პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს.

საიას განმარტებით, აღნიშნული განცხადებების შინაარსი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მასში ბრალდებულის მონაწილეობა უკვე დადგენილ და უტყუარ ფაქტებს წარმოადგენს.

— აღნიშნული განცხადებების შინაარსი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მასში ბრალდებულის მონაწილეობა უკვე დადგენილ და უტყუარ ფაქტებს წარმოადგენს, მაშინ, როცა საქმეზე გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, ხოლო სასამართლოს — ერთადერთ ინსტანციას საქართველოში, ვისაც აქვს კანონით მინიჭებული ლეგიტიმური უფლება, პირი გამოაცხადოს დამნაშავედ — ჯერ არ დაუწყია საქმის განხილვა, — ვკითხულობთ საიას განცხადებაში.

ახალგაზრდა იურისტთა განმარტებითვე, ხელისუფლების წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა საერთაშორისო აქტებით განმტკიცებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებასთან, უდანაშაულობის პრეზუმპციასთან.

— საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

უდანაშაულობის პრეზუმპციის მიზანია, რომ არ მოხდეს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის და სახელმწიფო ორგანოების განწყობის წინასწარ ფორმირება, რათა არ შეილახოს მისი რეპუტაცია და მის მიმართ საზოგადოებრივი განწყობა იმთავითვე არ იყოს მიკერძოებული.

სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე, სამართალწარმოების დასრულებამდე საზოგადოების მხრიდან ყველა პირი უნდა იქნეს აღქმული უდანაშაულოდ.

დეკანოზ მამალაძის საქმეზე გაკეთებული არაერთი განცხადება არღვევს მისი უდანაშაულობის პრეზუმპციას და ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ერთმნიშვნელოვნად ბრალდებულის წინააღმდეგ, — მიაჩნიათ ახალგაზრდა იურისტებს.

საია მოუწოდებს როგორც პროკურატურას, ისე ცალკეულ პოლიტიკოსებს, დაიცვან და პატივი სცენ საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით გარანტირებულ უფლებებს და თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისა და გამონათქვამებისაგან, რაც სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე წარმოაჩენს ბრალდებულ პირს დამნაშავედ, ხოლო გამოძიების ვერსიას — დამტკიცებულ ფაქტად.

პროკურატურასთან კითხვები აქვს საქართველოს საპატრიარქოსაც. იქ ითხოვენ, რომ საგამოძიებო უწყებამ გიორგი მამალაძის დაკავებასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას.

— მინდა ვთხოვო საქართველოს საგამოძიებო სტრუქტურებს, რომ თუ არის ამის საშუალება, ცოტა უფრო მეტად დააკონკრეტონ რამდენიმე საკითხი, რადგან საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და უმჯობესი იქნებოდა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ცოტა უფრო ნათელი გახდეს ამ ბრალდების შინაარსი, რომ ადამიანები გაორებულ მდგომარეობაში არ იყვნენ, — განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქის პრესმდივანმა, მამა მიქაელ ბოტკოველმა.

მისი თქმით, საპატრიარქო საქმესთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას არ ფლობს. გარდა ამისა, საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებს საპატრიარქოსთან კომუნიკაცია არ ჰქონიათ.

### სკანდალური წერილი

ამ ისედაც სკანდალურ საქმეს ერთმა წერილმა კიდევ უფრო სკანდალური ელფერი შესძინა. 13 თებერვალს ტელეკომპანია რუსთავი 2-მა გაასაჯაროვა წერილი, რომელიც, ტელეკომპანიის მტკიცებით, გიორგი მამალაძემ გასული წლის ნოემბერში დაწერა.

წერილში იმ მაქინაციებზეა საუბარი, რასაც საპატრიარქოში ჰქონდა ადგილი.

ამ წერილის არსებობა დაკავებულის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ დაადასტურა. ის ამ თემაზე გუშინ, 14 თებერვალს, ესაუბრა მისი დაცვის ქვეშ მყოფს.

ადვოკატის თქმით, გიორგი მამალაძე ადასტურებს, რომ სკანდალურ წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ პატრიარქს ნამდვილად მიაწოდა ინფორმაცია.




გიორგი ფანცულაიას ცნობითვე, დეკანოზი გიორგი მამალაძე ამბობს, რომ უფრო მწვავე შინაარსის წერილებიც აქვს პატრიარქისთვის გაგზავნილი, სადაც საპატრიარქოს ქონების დატაცების შესახებ არის საუბარი.

სკანდალური წერილის არსებობას არ უარყოფს მამა მიქაელ ბოტკოველიც. ამასთან აღნიშნავს, რომ ასეთი წერილის გაგზავნის აუცილებლობა არ იყო, რადგან მამალაძე ხშირად ხვდებოდა პატრიარქს.

— მეც რუსთავი 2-ის მეშვეობით შევიტყვე ამის შესახებ. თემები, რომლებზეც არის იქ საუბარი, ნამდვილად შედიოდა მამა გიორგისთან, მის განსახილველ საკითხთა შორის იყო. დიდი ალბათობით, თუ, რა თქმა უნდა, ამას მტკიცებულება სჭირდება და მამა გიორგის ალბათ ექნება ამის საშუალება დაადასტუროს ან უარყოს, თემატიკიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია იყოს მისი წერილი.

რადგან იქ ისეთ საკითხებზეა საუბარი, რომლებთანაც მას ჰქონდა შემხებლობა პირდაპირი თუ არა პირდაპირი. მაგრამ მე აქედანვე მინდა გითხრათ, რომ ამ წერილში ასახული ბევრი საკითხი არის ძალიან დრამატიზირებული და მისი ასეთი ეპისტოლარული ჟანრით პატრიარქისთვის მიწოდება, ვფიქრობ, არ იქნებოდა სწორი. მამა გიორგის ჰქონდა მის უწმინდესობასთან, როგორც ქონების სამსახურის უფროსის მოადგილეს, როგორც კლინიკის დირექტორს, შეხვედრის შესაძლებლობა და ასეთი წერილის გაგზავნის აუცილებლობა არ ექნებოდა.

პატრიარქი არ არის ჩაკეტილი ადამიანი და მასთან რიგითი სასულიერო პირებიც კერძო საკითხებზე ხშირად მიდიან და ესაუბრებიან, მით უმეტეს, როდესაც არის ადამიანი ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, მას ნებისმიერ დროს შეეძლებოდა, რომ მოეთხოვა მის უწმინდესობასთან აუდიენცია და არც ამის ნაკლებობას განიცდიდა მამა გიორგი, რადგან ის ძალიან ხშირად იმყოფებოდა საპატრიარქოში, — აღნიშნა მამა მიქაელ ბოტკოველმა.

### ვინ არის დეკანოზი გიორგი მამალაძე

ინტერნეტგამოცემა ნეტგაზეთის ცნობით, დეკანოზი გიორგი მამალაძე 31 წლისაა.

ის დაიბადა ქობულეთში. ასწავლიდა სასულიერო გიმნაზიაში. გიორგი მამალაძე დეკანოზის ხარისხში 2010 წლის აგვისტოში აიყვანეს აჭარაში ილია II-ის ვიზიტისას. ამ დროს მამალაძე 26 წლის იყო. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზეც იძებნება და გაზე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლება მედიის ხელში ჩაგდებას ცდილობს“

## „ივანიშვილს გვერდით ჭკვიანი ადამიანები აღარ ჰყავს“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს საერთაშორისო საკითხების სპეციალისტი, ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, ხელისუფლება სერიოზულ შეცდომებს უშვებს, მოსახლეობაში დაძაბულობა მატულობს, ამ ფონზე ცდილობს, რუსთავი 2 გააჩუმოს. რა პროცესები ვითარდება ქვეყანაში?***

– საზოგადოებაში დაძაბულობას მთავრობა ქმნის. როდესაც ხელისუფლება არასწორად მუშაობს, შეცდომას შეცდომაზე უშვებს, სწორედ მაშინ ჩნდება დაძაბულობაც. ერთი მეორის მიყოლებით ძალიან უცნაური ამბები ხდება, რაზეც ძალიან ბევრი შეკითხვა ისმის. რომ არა რუსთავი 2, ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ჩვენ ვერც გავიგებდით! სწორედ ამიტომ დაიბარეს რუსთავი 2-ის დირექტორი პროკურატურაში.

***– რატომ, ვიღაცას მისი გაჩუმება უნდა?***

– გაჩუმება რომ უნდათ, ეს ახალი ამბავი არ არის. ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს და აშკარად აჩქარდა რუსთავი 2-ის გაჩუმების მცდელობაც! ჯერ ერთი, გაურკვეველია ამ ჩანაწერის, კომპრომატის აუთენტურობა.

***– მოვისმინეთ, რომ ექსპერტიზამ დაადასტურა აუთენტურობა. არ ენდობით?***

– საზოგადოებას აქვს კითხვები გამოძიების მიმართ და არ ენდობა არც პროკურატურას და არც სასამართლოს. დაუშვებელია, რომ ჩვენ არ მოვითხოვოთ ობიექტური გამოძიება და ობიექტური და პროფესიონალი ექსპერტების ჩართვა. პირველ რიგში საერთაშორისო ექსპერტებს ვგულისხმობ.

***– რატომ, ეჭვი გეპარებათ ჩვენი ექსპერტების პროფესიონალიზმსა და მიუკერძოებლობაში?***

– მოდით, ასე შევხედოთ საკითხს. გვარამიას მსგავსი რაღაცების ჩაწერის და გაკეთების დიდი გამოცდილება აქვს. წესით, გვარამია ასე არ უნდა მოქცეულიყო. სწორედ მან დაიწყო ჩანაწერების გამომზეურება 2007 წელს. ისეთი ბრიყვი არ იქნება გვარამია, რომ ეს დამართოდა. ასეთი საკითხები მან მშვენივრად იცის, ვის რა შესთავაზოს და როგორ, თუ მართლა შესთავაზა. ასე რომ, ეს საკითხი სერიოზულ ეჭვებს აჩენს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ეს პროცესი საბოლოო ჯამში ურტყამს სიტყვის თავისუფლებას და ქვეყანაში მიმდინარეობს ისეთი პროცესი, როცა ჩახშობილია ყველა ალტერნატიული საინფორმაციო საშუალება და ეს გამოიწვევს ძალიან ცუდ შედეგებს. რა შედეგებიც გამოიღო ამან 2007-ში და 2008-ში, ყველამ კარგად ვიცით!

***– ძალიან ბევრი ავლებს პარალელს 2007 წელთან, აქეთკენ მიდის პროცესები?***

– რა თქმა უნდა, მიდის. როცა ხელისუფლებას პრობლემებზე ესაუბრებიან, ამის დანახვა არ უნდათ და ისევ იმ 9 წელზე გვესაუბრებიან. იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ რაღაც გამოასწორონ, უკეთესი შექმნან, არა, ისევ იმაზე საუბრობენ, შენ დროსაც ასე იყოო. შენ თუ ცუდი აკეთე, მეც ცუდს გავაკეთებო. ამაზე არასახელმწიფოებრივი მიდგომა ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია.

***– ხელისუფლება მედიის და თავისუფალი სიტყვის ხელში ჩაგდებას და გაჩუმებას ცდილობს?***

– სწორედ ამ პროცესებთან გვაქვს საქმე. თუ რუსთავი 2 ხელში ჩაიგდეს, ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდება. დარჩება ისევ კავკასია დამოუკიდებელ მედიასაშუალებად, ხოლო ყველა დანარჩენს ხელისუფლება გააკონტროლებს. ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ, რადგან ჩახშობა ყოველთვის უარესია. ტელევიზიებით ორთქლის გამოშვება ხდება, თუ ჩაახშობ, მერე იფეთქებს.

***– ძვირად დაუჯდება ხელისუფლებას ეს შეცდომა?***

– მის წინამორბედსაც ხომ იგივე დაემართა?! შეცდომას უშვებს ივანიშვილის გარემოცვა, რომელიც ივანიშვილს ამ პროცესების სისწორეში არწმუნებს. თუ ტელევიზიები სააშკარაოზე არ გამოიტანენ და არ გააშუქებენ, მაშინ ეს თემები დაგროვდება და ისე აფეთქდება, რომ საბოლოო ჯამში გაცილებით უარესი მოხდება!

ყველა მმართველს სჭირდება ოპოზიციური ტელევიზია, რომ მისი და ზოგადად ხელისუფლების დეგრადაცია არ მოხდეს. 27 წელია, დამოუკიდებლები ვართ და ბოლომდე ეს ვერც ერთმა მმართველმა ვერ გაიაზრა! შევარდნაძე შედარებით უკეთ ხვდებოდა ამას, რადგან მის დროს გაცილებით თავისუფალი იყო მედია. რუსთავი 2-ს რაც შეეხება, საქმე ეხება ძალიან სენსიტიურ და მძიმე თემას და არ შეიძლება ასე ხელაღებით გადაჭრით ითქვას, რომ ეს აუთენტურია. საქმეში საერთაშორისო ექსპერტები უნდა ჩაერთონ! ამ ხელისუფლებას, ამ სასამართლოს არანაირი ნდობა არა გააჩნია. რაც დღეს სასამართლოში ხდება, ისიც რუსთავი 2-ის ბრალია?!

***– მოსამართლეების თემა ახსენეთ და ჩვენ ვხედავთ ურთიერთბრალდებებს. ოპოზიცია ხელისუფლებას დებს ბრალს მათ მოსყიდვასაი და დაშანტაჟებაში და ხელისუფლება პირიქით – ოპოზიციას. რა ხდება რეალურად?***

– როგორ შეიძლება ხელისუფლება, რომელიც მეხუთე წელია ხელისუფლებაშია, წინა ხელისუფლებას აბრალებდეს, მოსამართლეებს აშანტაჟებო. ეს უბრალოდ კომედიაა! ამაზე კომენტარიც ზედმეტია. ხელისუფლება ცდილობს, ავტორიტარული რეჟიმისკენ წავიდეს, მაგრამ ახალი თაობა ამ სისტემას არ მიიღებს! ტყუილად დაიკარგება დრო, ენერგია, ისევ წრეზე წავალთ. ეს სისტემა განწირულია, ვერ იმუშავებს. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ საქართველო არც აზერბაიჯანია და არც – თურქმენეთი!

***– თქვენ ავტორიტარიზმზე საუბრობთ, მაშინ როცა, ქვეყანა ვიზალიბერალიზაციას ღებულობს. რამდენად ადეკვატურია ის, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს?***

– მათი ჭკუით, სწორია. რახან ვიზალიბერალიზაცია მივიღეთ, ფიქრობენ, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა. თავიდან ფიქრობდნენ, რომ თუ რაიმე ცუდს მოვიმოქმედებთ, აღარ მოგვცემენო, აქამდე ითმინეს და როგორც კი თანხმობა მიიღეს, ბრჭყალებიც გამოაჩინეს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ საკმაოდ დააჩქარონ ეს ანტიდემოკრატიული პროცესები.

არ მინდოდა, ასე მეფიქრა, მაგრამ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ეს პროცესი რომ დაჩქარდა, ფაქტია. მაინც მიჭირს დაჯერება, რომ ეს ხელისუფლება ასე პრიმიტიულად აზროვნებს და მოქმედებს! ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების უმრავლესობა ძალიან სამარცხვინოდ იქცევა! დღეს მორალს კითხულობენ, არადა ნაცმოძრაობასთანაც მშვენივრად თანამშრომლობდნენ თავის დროზე.

***– გარდაუვალია საპროტესტო აქციები, სერიოზული უკმაყოფილებაა მოსახლეობაში. რით დაასრულებს ეს ხელისუფლება?***

– სამწუხაროა, რომ ასეთი პროცესების მოლოდინში ვართ. ძალიან მინდოდა, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით წასულიყო. ნამდვილად არ ვარ მომხრე ვადამდელი არჩევნების და რევოლუციური სცენარების. ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაშიც ხომ უნდა ჩამოყალიბდეს დემოკრატიული პროცესები, ხომ უნდა შეგვეძლოს არჩევნებამდე მშვიდად მივიდეთ?!

სამწუხაროდ, ძალიან ბევრს არ ჰყოფნის ამისთვის ჭკუა და განათლება, მათ, ვინც ხელისუფლებაშია, მათ, ვინც ივანიშვილს რაღაცებს ურჩევს.

***– ივანიშვილს ცუდი გარემოცვა ჰყავს?***

– ის ჭკვიანი ხალხი, ვინც მას გვერდით ჰყავდა 2011-2012 წლებში, დღეს გვერდით აღარ ჰყავს.

# მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი: „ჩვენი სიმართლე რადიკალურად სხვა არის“

## დაკავებული დეკანოზის დედა: „ჩემი შვილი პატრიარქს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცავდა“




დასაწყისი მე-2 გვერდზე

თი ბათუმელების არქივშიც.

დეკანოზი გიორგი მამალაძე ბათუმში წმინდა ბარბარეს ეკლესიას ხელმძღვანელობდა. იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა 2014 წელს, როდესაც ამ ეკლესიაში რემონტი დაიწყო, რომელიც, გაზეთ ბათუმელების ინფორმაციით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ნებართვის გარეშე მიმდინარეობდა.

წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ანდრია თურმანიძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, რომ დაახლოებით 2 წლის წინ გიორგი მამალაძემ ბათუმი დატოვა და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ის წმიდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის გენერალურ დირექტორად დაინიშნა.

სამედიცინო ცენტრის წილის 100%-ის მფლობელი საქართველოს საპატრიარქოა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დეკანოზი გიორგი მამალაძე საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურის უფროსია, თუმცა საპატრიარქოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, ამ თანამდებობას მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა იკავებს. ილია II-ის მდივანმა მიქაელ ბოტკოველმა ნეტგაზეთს უთხრა, რომ მამალაძე სამსახურის უფროსის მოადგილეა და არა – ხელმძღვანელი.

საჯარო რეესტრის მონაცემებით (ბოლოს განახლებულია 2014 წელს) დეკანოზი გიორგი მამალაძე ასევე იკავებდა ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის დირექტორის თანამდებობას. ამ სკოლის მფლობელიც საქართველოს საპატრიარქოა.

დეკანოზი მამალაძე ასევე მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაშიც.

იგი შპს დიმოილის წილის 50%-ს ფლობს. გარდა ამისა, 25-25% ეკუთვნის შპს კარო ოპტიმუსის, შპს ტოროქსისა და შპს სუერტეს წილებიდან.

# გიორგი გუგავა: „სოლოლაკელ მბრძანებელს ყელში ამოუვიდა ყველაფერი“



– როგორც ჩანს, ყელში ამოუვიდა ყველაფერი სოლოლაკელ მბრძანებელს და გადაწყვიტა, რომ პირდაპირი კავალერისტული შეტევა განახორციელოს რუსთავი 2-ზე და ბოლომდე გადაწყვიტოს ამ ტელევიზიის საქმე.

ამის შესახებ განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ.

მისი თქმით, ნიკა გვარამიას შსს-ში დაბარებას სამართლიანობასთან და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან კავშირი არ აქვს. გიორგი გუგავა ამ ყველაფერში პოლიტიკურ მოტივებს ხედავს.

– ეს რომ პოლიტიკური პროცესია, ამაზე მეტყველებს მათი ქმედებები, ხელისუფლების ქმედება. როდესაც უმრავლესობის ლიდერი, ახალი ბორის ძნელაძე, გამოვიდა და პირდაპირ განაცხადა და დავალება მისცა პროკურატურას იმის შესახებ, რომ დააპატიმრონ ბატონი გვარამია, რაც ხელს შეუწყობს, ბუნებრივია, იმ ქმედებების განხორციელებაში, რასაც ჰქვია რუსთავი 2-ის მიტაცება, რაც წარმოადგენს თავისუფალი სიტყვის ბურთს, თავისუფლების სარკმელს და სწორედ აქ გადის დემოკრატიის ხაზი, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

**პირველი რადიო**

# აშშ არ აღიარებს უკანონო რეფერენდუმის შედეგებს




აშშ-ის საელჩო საქართველოში სამხრეთ ოსეთის რეგიონში დაგეგმილ რეფერენდუმს ეხმაურება და მას პროვოკაციულ ქმედებად აფასებს.

– აშშ-ის საელჩო გმობს არალეგიტიმური „რეფერენდუმის“ ჩატარების გადაწყვეტილებას საქართველოს სამხრეთ ოსეთის რეგიონში, რომელიც 9 აპრილს არის დაგეგმილი.

ასეთი პროვოკაციული ქმედებები კარგავს ნდობას და აკნინებს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას.

ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს იმ უკანონო რეფერენდუმის შედეგებს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე გაიმართება.

ორივე რეგიონი, სამხრეთ ოსეთიცა და აფხაზეთიც, წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს. ჩვენ კვლავ მკაფიოდ ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს, როგორც ფორუმს, სადაც განიხილება საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არსებული მდგომარეობა.

მოვუწოდებთ ყველა მხარეს, თავი აარიდონ ქმედებებს, მათ შორის შემოთავაზებულ რეფერენდუმს, რომლებიც ჟენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობას აკნინებს, – ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

**პირველი რადიო**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ცხოველთა მონიტორინგის სამსახურმა პრემია-დანამატების რეკორდი მოხსნა

შორენა მარსაგიშვილი

**თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ცხოველთა მონიტორინგის სამსახური რამდენიმე წლის წინ შეიქმნა. მან არაერთხელ ააღაპარაკა არასამთავრობო სექტორი. ყველაზე თვალშისაცემი ის არის, რომ ამ სამსახურის დაფინანსების უდიდესი ნაწილი ხელფასებზე, პრემიებსა და დანამატებზე მიდის.**



## მარიამ ქელბაქიანი: „ამ სამსახურის უფროსის მოადგილეებმა უფრო მეტი პრემია-დანამატი აიღეს, ვიდრე მერის და მინისტრის მოადგილეებმა“

მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრის, მარიამ ქელბაქიანის, განცხადებით, ცხოველთა მონიტორინგის სამსახურმა დამკვიდრებულ ტრადიციას არც გასული წლის დამლევს უღალატა და საახალწლოდ პრემია-დანამატების კუთხით ერთგვარი რეკორდიც კი მოხსნა.

– თბილისის მიერ შექმნილი სსიპის – ცხოველთა მონიტორინგის წლიური დაფინანსება 3 მილიონ ლარს შეადგენს. ამ სამსახურის დაფინანსების 85% ხელფასებსა და პრემია-დანამატებზე მიდის. გასული წლის დეკემბერში აქ 125.360 ლარის პრემია-დანამატი გაიცა, რაც ნებისმიერი გამგეობის ბიუჯეტზე მეტია, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში მარიამ ქელბაქიანი.

მისთვის ასევე ძალიან საინტერესო აღმოჩნდა სამსახურის უფროსის და მისი მოადგილეების შემოსავალი. დეკემბრის თვეში ამ ადამიანებმა 7.000 ლარზე მეტი მიიღეს.

– ერთმა მოადგილემ პრემია-დანამატის სახით 3.795 ლარის ოდენობის პრემია-დანამატი აიღო, მეორემ კი – 3.360 ლარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილეებმა გაცილებით მეტი ოდენობის პრემია-დანამატი აიღეს, ვიდრე საქალაქო სამსახურის უფროსებმა და მერის მოადგილეებმა, – ამბობს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

მარიამ ქელბაქიანის განცხადებით, ამ სამსახურში 122 თანამშრომელია დასაქმებული, დასაქმებულთა ვინაობა კი მკაცრად გასაიდუმლოებულია.

– ჩვენ არაერთხელ დავინტერესდით, თუ ვინ მუშაობდა ამ სსიპში. გავაგზავნეთ შეკითხვა, მაგრამ არ გვიპასუხეს, გვითხრეს, რომ ინფორმაციას არ გასცემდნენ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამსახური „ქართული ოცნების“ პარტიის აქტივის დასასაქმებლად არის შექმნილი. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მათგანი სამსახურშიც არ დადის და ისე იღებს ხელფასს, – აღნიშნავს ქელბაქიანი.

„მედიატორი“ დაინტერესდა, თუ რამდენად დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ ამ სამსახურის თანამშრომლებს.

– თვეში 1 ან 2 გამოძახება აქვთ. ამ სამსახურის ეფექტურობაზე 13 ივნისის სტიქია მეტყველებს ყველაზე უკეთ. ამ სამსახურს უნდა დაეთვალა ცხოველები, მაგრამ 2015 წლის 13 ივნისს სხვა რამე ვნახეთ. მათ ისიც კი არ იცოდნენ, რამდენი ცხოველი იყო ზოოპარკში. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ზოოპარკიდან გაქცეულმა ვეფხვმა ადამიანი შეჭამა. ამაზე პასუხი მთელმა ხელისუფლებამ უნდა აგოს, მაგრამ რაკი არსებობს ცხოველთა მონიტორინგის სამსახური, მათ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულონ, – ამბობს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

მისი თქმით, ეფექტურადაც რომ ემუშავა ცხოველთა მონიტორინგის სამსახურს, ამ შემთხვევაშიც კი არ არის გამართლებული ამხელა პრემია-დანამატები.

– მიაჩნიათ, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანების გამოსაკვებად დღეში 1.18 ლარია საკმარისი. რაც ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილეებმა ერთ თვეში აიღეს, 150 ადამიანის გამოსაკვებად იქნებოდა საკმარისი, – აცხადებს აღშფოთებული ქელბაქიანი.

„მედიატორი“ პრემია-დანამატების კუთხით კიდევ აგრძელებს კვლევას. ქელბაქიანი თითქმის დარწმუნებულია, რომ ამ ოდენობის პრემია-დანამატი არსად იქნება გაცემული.

ის დედაქალაქის მერიას და საკრებულოს მოუწოდებს, საკითხით დაინტერესდნენ.

მარიამ ქელბაქიანი მიიჩნევს, რომ ცხოველთა მონიტორინგის სამსახურმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს თავისი გაწეული საქმიანობის ანგარიში. ამბობს, რომ ქუჩაში ხშირად უწევს გადაადგილება და ამ სამსახურის წარმომადგენლებს არსად შეხვედრია.

– იმას ვერავინ იტყვის, რომ თბილისში მაწანწალა ძაღლები და კატები არ დადიან და ამ სამსახურს საქმე არ აქვს. ასეთი ცხოველები თავშესაფარში უნდა გადაიყვანონ, ხოლო დარჩენილებს სათანადო აცრა უნდა ჩაუტარდეთ და ამის აღსანიშნავად ყურზე რაღაც ნიშანი უნდა ეკეთოთ. კარგი იქნება, თუ ისინი გაწეული სამუშაოს ანგარიშს საკრებულოს ჩააბარებენ. ის უკვე ვიცით, რომ მათი ბიუჯეტის 85% ხელფასებსა და პრემია-დანამატებზე მიდის. გასარკვევია, დარჩენილი 15% მაინც თუ იხარჯება მიზანმიმართულად, – კითხულობს ქელბაქიანი.

ამის გარკვევა განსაკუთრებით ახლაა საჭირო, რადგან ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით უამრავი ადამიანი გაუშვეს სამსახურებიდან.

**მარიამ ქელბაქიანი:**

– თავდაცვის სამინისტროდან 2.000-ზე მეტი თანამშრომელი გაათავისუფლეს. სხვა უწყებებშიც დაიწყო შემცირებები. საინტერესოა, რატომ არ ეხება ოპტიმიზაცია ცხოველთა მონიტორინგის სამსახურს, რომლის ფუნქციებიც გაურკვეველია და არც ის ვიცით, რას აკეთებს ეს გასაიდუმლოებული ასეული.

# დაიჭერენ თუ არა ნიკა გვარამიას?

## თუ მას დააკავებენ, რუსთავი 2-ის გენდირექტორის მოვალეობას ზაალ უდუმაშვილი შეასრულებს



შორენა მარსაგიშვილი

ტელეკომპანია რუსთავი 2 და მისი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ისევ შარში არიან. გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე არ გამორიცხავს, რომ უახლოეს დღეებში ის დააკავონ.

ხელისუფლების მხარდამჭერები მის დაკავებას ჯერ კიდევ გუშინ, 14 თებერვალს, ელოდნენ. სოციალურ ქსელებში ერთგვარი ზეიმიც კი იყო გამართული.

მოზეიმეებს საზეიმო განწყობა თავად ნიკა გვარამიამ გაუნელა. მან საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკითხვაზე არ მივიდოდა და ჩვენებას მხოლოდ სასამართლოში მისცემდა.

გვარამია ეჭვობს, რომ ის შესაძლოა დააკავონ და დაკავებამდე საკადრო გადაწყვეტილება მიიღო. თუ მას თავისუფლებას აღუკვეთენ, რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის მოვალეობას ზაალ უდუმაშვილი შეასრულებს.

გუშინდელ ბრიფინგზე ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ მამუკა ახვლედიანთან ფულზე არ უსაუბრია.

მისი თქმით, ჩანაწერი არა ნახევარ საათს, არამედ საათანახევარს მოიცავდა და იქ არა მხოლოდ გვარამია-ახვლედიანის, არამედ სამი პირის საუბარი იყო ასახული.

გვარამია კატეგორიულად უარყოფს, რომ მამუკა ახვლედიანს გადადგომის სანაცვლოდ ფული შესთავაზა.

– რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელზეც დღეს იყო საუბარი ერთი ახალგაზრდა კაცის მიერ, რომელსაც ალბათ შეეძლო რამისთვის მიეღწია პოლიტიკაში, მაგრამ ვგონებ გვიანია, განსაკუთრებით დღევანდელი დღის შემდეგ, როცა ის პავლიკ მოროზოვივით გამოვიდა და ადამიანების დაპატიმრება მოითხოვა.

მეგობრებო, ჩანაწერი, რომელზეც არის საუბარი, ჩემ მიერ არის გაკეთებული, ის მიმდინარეობს საათნახევარი და არის სამ პირს შორის. ფიგურანტი იქ არის სამი პირი. თანხასთან დაკავშირებით მე ვესაუბრები არა მამუკა ახვლედიანს, არამედ მესამე პირს და ვესაუბრები რუსთავი 2-ის ვალებზე. ეს ადამიანი არის ხელისუფლებასთან დაახლოებული, მე ის არ დავასახელე, რადგან ვინარჩუნებ წყაროს გაუთქმელობას. მე ეს ჩვენება მივეცი პროკურატურას, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისივე განმარტებით, მესამე პირი, რომელიც ხელისუფლებასთან არის





დაახლოებული, ჩანაწერში უამბობს გვარამიას, თუ როგორ აპირებს ხელისუფლება რუსთავი 2-ის გაგუდვას ვალების მეშვეობით.

– რაც შეეხება ბატონ მამუკა ახვლედიანს, რა ვუთხარი მე მას, ეს ძალიან კარგად არის ცნობილი და ჩემ მიერვე არის ცნობილი. როცა სასამართლოს თავმჯდომარე გხვდება, ცხადია, რომ მისგან ელოდები ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას. ჩვენ ყველამ ერთად გადავწყვიტეთ, ეს ჩანაწერი გაგვეკეთებინა.

თუ მე ვესაუბრე მამუკა ახვლედიანს ფულზე, სად მივიღე შედეგი? რატომ არ გადადგა? პირიქით, ის უკანონოდ გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან და დღემდე იბრძვის, რომ თავი აღიდგინოს. შესაბამისად, ქრთამის შემადგენლობა ბუნებაში არ არსებობს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ექსპერტიზის სამსახურზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნა მართალი არ არის.

* * *

ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ აცხადებენ, რომ გვარამიას დაკავების ბრძანება გაცემულია და ეს საზოგადოებას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ ამცნო.

თალაკვაძემ ერს გუშინ სისხამ დილით აუწყა, რომ რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი აუთენტურია. ლაპარაკია ნიკა გვარამიას და მოსამართლე მამუკა ახვლედიანის საუბარზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს საუბარი თავად გვარამიამ ჩაიწერა და ამის შესახებ მან რამდენიმე თვის წინ განაცხადა.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე უმრავლესობის ლიდერმა გვარამია და ნაციონალური მოძრაობა სასამართლოს მუშაობაში ჩარევასა და მოსამართლეებზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

– საქართველოს შს სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გვარამია-ახვლედიანის სკანდალური ჩანაწერი დაუმონტაჟებელი და აუთენტურია. საზოგადოებას შევახსენებ, რომ საუბარია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიასა და ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ახვლედიანს შორის გამართულ შეხვედრაზე, რომელიც თვითონ გვარამიამ ჩაიწერა ფარულად და, სადაც ეს უკანასკნელი საქალაქო სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარეს სკანდალით გადადგომის სანაცვლოდ მილიონებს სთავაზობდა ქრთამის სახით.

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ გვარამია ნაწილობრივ აღიარებდა ჩანაწერის ნამდვილობას, მხოლოდ ამტკიცებდა, რომ ეს ჩანაწერი დამონტაჟებული იყო.

ამ დასკვნის თანახმად, სადაც დასტურდება, რომ ჩანაწერი აუთენტური და დაუმონტაჟებელია, იკვეთება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი უხეშად ერეოდა სასამართლოს საქმიანობაში, – აღნიშნა თალაკვაძემ.

მისი თქმით, როდესაც შეკითხვებს გაეცა დამაჯერებელი პასუხი, საქართველოს პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს ამ ფაქტის სამართლებრივი შეფასება და ბრალეული პირების გამოსავლენად სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება ჩაატაროს.

– იმედი მაქვს ასევე, რომ სწრაფად იქნება გამოძიებული, აქვს თუ არა ადგილი რეალურად მოსამართლე ახვლედიანის მხრიდან უკანონოდ მიღებული მილიონიანი ქონების უტიფარი ლეგალიზაციის ფაქტს, ვინაიდან თანხები, რომლებიც მის განკარგვაში იყო, მოსამართლის 120 წლის ჯამური ხელფასია, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანს ეჭვები ნიკა გვარამიას პოზიციამ გაუმძაფრა. რომელმაც შსს-ში დაკითხვაზე მისვლა არ ისურვა.

– ნიკა გვარამიასა და მამუკა ახვლედიანის სატელეფონო ჩანაწერის აუთენტურობა შსს-მ დაადასტურა. თუ ეს ჩანაწერი რეალური და აუთენტურია, ეს იმას ნიშნავს, რომ კორუფციის გარკვეული ნიშნები არსებობდა. საუბარში სწორედ ეს იკვეთება. თუ ეს ასე არ არის, სწორი იქნება, ბატონი ნიკა გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში, მისცეს შესაბამისი ჩვენება და რაც სწორია, იმაზე ისაუბროს, – განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი კახიანმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით, ნიკა გვარამიას ტყუილში ადანაშაულებს.

– ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ გვარამია იტყუებოდა, როდესაც ამბობდა, თითქოს ჩანაწერი იყო ნაწილობრივ აუთენტური. ვფიქრობ, რომ მას ჰქონდა გარკვეული მიზანი – კონკრეტული დეტალების აღიარება არ სურდა. დღეს ნათელი ხდება, რომ მთელი პიარკამპანია, რაც აქამდე აწარმოა და რასაც დღესაც აწარმოებს, სწორედ ამის გადასაფარად იყო, – აცხადებს მამუკა მდინარაძე.

სულ სხვა პოზიცია აქვს საპარლამენტო ოპოზიციას.

დეპუტატ გიგა ბოკერიას თქმით, რუსთავი 2-ის წინააღმდეგ კამპანია პოლიტიკურია და ამის უკან ყოფილი პრემიერი დგას.

– საქართველოში და ფარგლებს გარეთაც ყველასთვის ნათელია, რომ რუსთავი 2-ის წინააღმდეგ კამპანია არის ივანიშვილის და მისი გარემოცვის ორგანიზებული და წმინდად პოლიტიკურია. შეგვიძლია, სრული რწმენით ვთქვა, რომ ნაბიჯი რუსთავი 2-ის ჩახშობის, ან შესაძლო ნაბიჯი დირექტორის დაკავების, იქნება ყველა სხვა ზიანთან შედარებით ყველაზე უფრო დიდი ზიანის მომტანი ქართული დემოკრატიისთვის და ამას მოჰყვება შეუქცევადი პროცესი, შეუქცევადი პროცესები პროტესტისა ქართული საზოგადოების მხრიდან, – აღნიშნა ბოკერიამ.

* * *

ნიკა გვარამიას უარს შსს გაგებით მოეკიდა და დახმარებისთვის სასამართლოს მიმართა.

– რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი, საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის ირგვლივ დამატებით გამოსაკითხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 14 თებერვალს, 18:00 საათზე იქნა დაბარებული. ვინაიდან ნიკა გვარამიამ საჯაროდ განცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლას არ აპირებს და სასამართლოში დაკითხვას მოითხოვს, გამოძიება შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რათა იგი მოსამართლის წინაშე მოწმის სახით იქნას დაკითხული, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# თენგიზ დიხამინჯია: „ჩვენი პატრიარქი ლოკალურ არეალს სცილდება“



გულიკო ბალაძე

საქართველოს მთავარი პროკურორის განცხადებით, მაღალი იერარქიის სამღვდელო პირის მკვლელობა მზადდებოდა. დაპატიმრებულია სამღვდელო პირი, რომელიც გერმანიაში მიემგზავრებოდა მომწამლავი ნივთიერებით შეიარაღებული.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კი თავისი პირადი დაცვის წევრები და სპეციალური დაცვის სამსახურის უფროსი გააგზავნა გერმანიაში მყოფი პატრიარქის დასაცავად. ე.ი. სავარაუდოდ, მზადდებოდა გერმანიაში მყოფი პატრიარქის მოწამვლა.

ყოფილი დეპუტატი **თენგიზ დიხამინჯია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის ერთადერთი ნათელი წერტილი არსებულ ინსტიტუტებში, როგორც ავტორიტეტი და ერზე მზრუნველი ფიგურა. თუ კაცი მისი სიცოცხლის ხელყოფის გადაწყვეტილებას თანხმდება, შორსმიმავალი გეგმა უნდა ჰქონდეს.

– თუ ეს სინამდვილეს შეესაბამება, შეიძლება დაპატიმრებული პირი ვიღაცის მიერ იყოს გამოყენებული. ვინც მას იყენებს, ალბათ მიზანი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ცნობიერებისა და ორიენტირების სრული პარალიზებაა, – განაცხადა თენგიზ დიხამინჯიამ.

***– ბატონო თენგიზ, ისეთი დეგრადირებულები ვართ, რომ ახლა პატრიარქის მოწამვლა მოინდომეს? ჩვენს ისტორიაში იყო შემთხვევა, როცა პატრიარქი მოკლეს, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. თუ მოწოდებული ინფორმაცია სწორია, როგორ შეიძლება შეფასდეს ასეთი ქმედებები?***

– თუ იმ დონეზე დაეშვება ადამიანი, რომ ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, პრეზიდენტსაც მოკლავს და პატრიარქსაც. ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანაში ყველაზე დიდი ავტორიტეტით ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი სარგებლობს. ამიტომ, როდესაც მემკვიდრეობაზე მიდგება საქმე, ქაოსის შესატანად, მსგავსი გადაწყვეტილებაც არ არის გამორიცხული.

***– პატრიარქის შესაძლო მოწამვლის მიზანი ქვეყანაში ქაოსის გამოწვევა შეიძლება იყოს?***

– ალბათ, სახელმწიფოებრივი ქაოსი, დეგრადაცია და აბსოლუტური განუკითხაობა უნდოდათ გამოეწვიათ. პატრიარქი თავისი ავტორიტეტით მეტ-ნაკლებად აჩერებს ამ პროცესებს. მდგომარეობა კატასტროფულზე უარესია.

***– მეორე მხრივ, ამგვარი ფაქტი თვით ეკლესიის ავტორიტეტის შებღალვაც არ არის?***

– რა თქმა უნდა. ძირითადად მაინც გამიზნულია პანიკის დასათესად, საერთოდ, სახელმწიფოებრიობისა და სულიერებისთვის ბოლოს მოსაღებად.

***– მოტივაცია რა შეიძლებოდა ყოფილიყო?***

– მოტივაციის განსაზღვრა ძალიან რთულია, მაგრამ საერთოდ, ამგვარი ფაქტებით სახელმწიფოებრიობას, სულიერებას საფრთხე ექმნება. ჩემი აზრით, თუ კაცი ასეთ გადაწყვეტილებას თანხმდება, შორსმიმავალი გეგმა უნდა ჰქონდეს.

***– მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ დაპატიმრებული დეკანოზი ანგარების მიზნით მოქმედებდა. თუმცა, არ განუცხადებია, შემკვეთი ვინ იყო.***

– შეიძლება დაპატიმრებული პირი ვიღაცის მიერ იყოს გამოყენებული. ვინც მაგას იყენებს, ალბათ, მიზანი სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ცნობიერების, ორიენტირების სრული პარალიზებაა.

***– ვის შეიძლება აწყობდეს პროცესების ამგვარი განვითარება?***

– სანამ გამოძიება არ დასრულებულა, ამაზე ლაპარაკი რთულია, მაგრამ საქართველო ისეთი ქვეყანაა, ისეთი საკვანძო სივრცეა, გეოპოლიტიკური ძალების ისეთი ჭიდილია, რომ ბევრი ძალა იქნება დაინტერესებული ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებში კრიზისის შექმნით. უნდათ საქართველოში, ქაოსი და განუკითხაობა იყოს, სახელმწიფოებრიობა, სუვერენიტეტი და მსგავსი მაღალი სტანდარტები არ არსებობდეს. ამაში ბევრია დაინტერესებული.

***– გეოპოლიტიკური ინტერესები ახსენეთ. ჩემთვის რაღაცის მიმანიშნებელი იყო პრემიერის დავალებით დაცვის სპეცჯგუფის გაგზავნა გერმანიაში პატრიარქის დასაცავად. რაც მიუთითებს, რომ მნიშვნელოვან და სერიოზულ ფაქტთან გვაქვს საქმე.***

– ჩვენ გვყავს პარტნიორები, ვისაც აქ სახელმწიფოებრივი წესრიგი და ქვეყნის ფეხზე დაყენება უნდა. შეიძლება ბევრნი არ არიან, მაგრამ პარტნიორები გვყავს.

***– მტრებიც გვყავს.***

– მტრები უხვად გვყავს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არა მარტო ქართველ მოსახლეობაშია ავტორიტეტი, არამედ სხვა კონფესიებშიც. მიუკერძოებელი გამოკითხვა რომ ჩავატაროთ, გამოჩნდება, რომ ჩვენი პატრიარქი სხვა კონფესიების პარტნიორია, რაც მის ადამიანობას გამოხატავს.

უწმინდესი დიდი სასულიერო მოღვაწეა. პოლიტიკასა და რელიგიას შორის საკმაოდ ფაქიზი ხიდია გადებული. როგორც კი ამ ხიდზე ვინმე მძიმედ გაივლის, სასულიერო პირი იქნება თუ საერო, შეიძლება ის ჩატყდეს და ვეღარ აღდგეს. მსგავსი შემთხვევები ისტორიაში ყოფილა.

ამ ადამიანმა ამგვარ ხიდზე გავლა ბევრჯერ მოახერხა. ის ინტენსიურად გამოდის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საოკუპაციო რეჟიმის დემონტაჟის მოთხოვნით. გავიხსენოთ მისი განცხადებები, როცა რუსეთში ჩავიდა, რუსეთის პატრიარქს შეხვდა და დააფიქსირა, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია, რაც პატრიარქმა იმ შეხვედრაზე მყოფ პუტინსაც პირდაპირ განუცხადა. როცა პუტინმა განაცხადა, რომ ქრისტიანების დევნა მიმდინარეობდა ბოსნიაში, ეგვიპტეში, კოსოვოსა და სირიაში, მაშინაც მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა საპასუხოდ, რომ ამის პარალელურად აუცილებელი იყო ანალოგიურად სამაჩაბლოსა და აფხაზეთიდან განდევნილი ადამიანების მოქალაქეობრივი და სარწმუნოებრივი მრწამსის დაცვაც.

***– ბოლო მსოფლიო საეკლესიო კრებასთან დაკავშირებითაც პატრიარქს თავისი პოზიცია ჰქონდა და აქვს.***

– დიახ, პატრიარქს მკაფიო პოზიცია აქვს, რაც მან მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღნიშნა. სამწუხაროდ, ამ იდეის რეალიზატორები საქართველოს პოლიტიკაში ვერ აღმოჩნდნენ. ეს უკვე ფაქტია, რადგან გაგრძელება არ მიეცა პატრიარქის დიდ წამოწყებას.

***– რუსეთთან და ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით?***

– დიახ. ეს იყო უზარმაზარი ლაფსუსი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ხელისუფლების უსუსურობაზე.

ძალიან საინტერესო იყო კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება აფხაზეთის დაბრუნებაში ებრაელების როლზე (ბიზნესზეც იყო საუბარი), ჩვენი ისტორიული პარტნიორების, ებრაელების, მხარდაჭერაზე ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში.

როდესაც ასეთი ადამიანი არსებობს მსგავსი იდეებით და კონსოლიდაციის უნარით, უნდა მოვუფრთხილდეთ.

პატრიარქმა მუსლიმანების მხარდამჭერი განცხადებები რომ გააკეთა, იმ სამყაროს არასოდეს დაავიწყდება. როგორია მისი ავტორიტეტი ირანში და სხვა ფუნდამენტალურ ქვეყნებში, არა მარტო ჩვენთან, არამედ განსხვავებული მრწამსის ადამიანებში, საყოველთაოდ ცნობილია.

ჩვენი პატრიარქი არის ისეთი ფიგურა, რომელიც ლოკალურ არეალს სცილდება. მას მასშტაბური, მსოფლმხედველობრივი, კონფესიური და ცივილიზაციების ურთიერთობის დალაგების ერთ-ერთი არქიტექტორიც შეიძლება ვუწოდოთ. პატრიარქს ეს მოდელი გადმოაქვს საქართველოში.

ბუნებრივია, არის ხალხი, რომელიც ამით არ არის დაინტერესებული და ამ იდეას მტრულად უყურებენ.

# ლევან ალაფიშვილი: „სასამართლოს სისტემურ დამოუკიდებლობაზე ჩვენმა პარლამენტმა უარი თქვა“



ნათია ხურცილავა

„ახალ თაობას“ იურისტი, კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი ესაუბრება:

***– ბატონო ლევან, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ნიკა გვარამიას საუბრის აუთენტურობა საქალაქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანთან დაადასტურა. რა სამართლებრივი პროცესები შეიძლება ამ ფაქტს მოჰყვეს? ოპოზიციაში უკვე აკეთებენ განცხადებას გვარამიას დაკავებასთან დაკავშირებით. რამდენად რეალურია, რომ მოვლენები სწორედ ასე განვითარდეს?***

– ამ საკითხზე მე ვერ ვიმსჯელებ, რადგან საქმის მასალებს არ ვიცნობ. საზოგადოება არ იცნობს ექსპერტიზის დასკვნის შინაარსობრივ ნაწილს. რეალურად დანაშაულის ნიშნები არის თუ არა ამ საუბარში, ეს არავინ იცის. ყველაფერი თავის ადგილზე რეალურმა და სამართლიანმა გამოძიებამ უნდა დაალაგოს. ხელისუფლების გონიერება სწორედ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ეს საქმე და სხვა ნებისმიერი საქმე მაქსიმალურად გამჭვირვალედ და მაღალპროფესიონალურად წარმართოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებას ეს შეიძლება საზიანოდ შემოუბრუნდეს.

***– რადგან ამ ჩანაწერში საუბარია სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვან ინსტიტუტზე, სასამართლო სისტემაზე, რომლის რეპუტაცია დგება ეჭვქვეშ სწორედ მილიონიანი გარიგებების ფონზე?***

– გამართული ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედი სწორედ სასამართლო სისტემაა. თუ სახელმწიფოს სასამართლო არ აქვს, მას მომავალი არ აქვს და შეიძლება სახელმწიფოებრიობა ჩამოეშალოს და ამ ნანგრევებში სხვებთან ერთად თავადაც მოჰყვეს. თუ ეს ვერ გააცნობიერა ხელისუფლებამ, სხვა დანარჩენი ფუჭია.

***– რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ, რომ ეს პროცესი ჩიხიდან გამოვიდეს და სასამართლოს რეპუტაცია ეჭვქვეშ არ დადგეს?***

– ხელისუფლებას პარლამენტში ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რაც რეალური გამოწვევაა ყველა ხელისუფლებისთვის. როდესაც სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღას პრეზიდენტმა ვეტო დაადო, ამას მოჰყვა დიდი პოლიტიკური შეფასებები, განცხადებები, რომ პრეზიდენტი აყოვნებს რეფორმირების პროცესს, ის კი არ თქვეს, რომ უკეთესს გვთავაზობს პრეზიდენტი.

არის ადამიანების წრე, რომლებიც ცდილობენ, რომ ყველაფერზე მოიპოვონ კონტროლი, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან, რომ საბოლოო ჯამში ეს იწვევს ქვეყნის იზოლაციას. ჩვენნაირ პატარა ქვეყანას ეს შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს, ეს უნდა გააცნობიეროს ყველამ.

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

# „რაჭაში ჰესების მშენებლობა რეგიონის მიკროკლიმატს სერიოზულ საფრთხეს უქმნის“



– რაჭაში ჰესების მშენებლობა რეგიონის მაღალი სეისმურობის გამო პრობლემატურია.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე რადიო „კომერსანტთან“ „ონის ჰესების კასკადის“ პროექტის შეფასებისას საუბრობს.

მანანა ქოჩლაძის თქმით, კანონმდებლობის მოთხოვნის მიხედვით, მშენებლობის დაწყებამდე კომპანიას გარემოსდაცვითი ნებართვა უნდა ჰქონდეს, საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს 45 დღე, მიიღონ შენიშვნები, შემდეგ პროექტი შევიდეს გარემოს დაცვის სამინისტროში და მიიღონ ნებართვა.

ეს პროცედურები დაცული არ არის.

ქოჩლაძის განცხადებითვე, კომპანია „ფერიმ“ თავის დროზე „დარიალჰესის“ მშენებლობაც უნებართვოდ დაიწყო და სახელმწიფომ 3 თვის მერე მისცა თანხმობა, თუმცა დოკუმენტში გეოლოგიური რისკები არ იყო გათვლილი და თავად ჰესიც დადგა საფრთხის წინაშე.

ამას გარდა, ქოჩლაძის ინფორმაციით, „დარიალჰესთან“ დაკავშირებით იბიარდი რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს ანგარიშს, სადაც საუბარია, რომ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და პროექტი არ შეესაბამება ბანკის კრიტერიუმებს.

შესაბამისად „მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარის განცხადებით, კომპანიის წარსული გამოცდილება ჰესებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენს და გაურკვეველია თავდაჯერებულობა „ონის კასკადთან“ დაკავშირებით.

მისივე განმარტებით, ახალი პროექტი არ გამოქვეყნებულა და მათთვის ცნობილი არ არის დეტალები, ძველი პროექტი კი დიდ საფრთხეებს შეიცავდა. ის გულისხმობდა 455 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწების დატბორვას, რაც საკმაოდ დიდია რაჭისთვის.

– ჰესის მშენებლობა დაგეგმილი იყო რაჭის მიწისძვრის ეპიცენტრიდან 2-3 კილომეტრში, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერმა პატარა მიწისძვრამ შესაძლოა, დიდი პრობლემები შექმნას.

გაიზრდება ნესტი, შაორის ჰესის და ტყიბულში წყალსაცავის მშენებლობამ ისედაც შეცვალა რაჭის მიკროკლიმატი და საფრთხე შეუქმნა ნიკორწმინდის ხატებს. რაჭაში ისეთი ჩაკეტილი ხეობებია, რომ წყლის დაგროვება გამოიწვევს ნესტიანობის ზრდას და თუ პროექტი წყალსაცავების მშენებლობას მოიცავს, ეს ძლიერი დარტყმა იქნება რაჭისთვის, – აცხადებს ქოჩლაძე.

მისივე თქმით, ჰესის მშენებლობის პროცესში შესაძლოა, ტურისტების რაოდენობა შემცირდეს, რადგან არავის სურს მტვრიან გარემოში დასვენება.

– გააჩნია, რა სიდიდის კასკადის მშენებლობაა დაგეგმილი, თუ მართლა 500 ჰექტრამდე იქნება დატბორილი, ეს ბევრ პრობლემას შექმნის როგორც კურორტებისთვის, ისე მინერალური წყლებისა და ტყისთვის და, საბოლოო ჯამში, ხანგრძლივვადიან პერიოდში რაჭა ტურისტულად მიმზიდველი აღარ იქნება, – დასძენს ქოჩლაძე

* * *

საქართველოში დღეს არსებულ მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებში ონის კასკადი თავისი დადგმული სიმძლავრის სიდიდით მეოთხე იქნება, ხოლო მისი გამომუშავებული ენერგია საქართველოს ენერგომოხმარების 8%-ს შეადგენს.

ონის ჰესების კასკადი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში, ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე აშენდება. პროექტს კომპანია „ფერი“ თანაინვესტირების ფონდთან ერთად ახორციელებს.

ონის კასკადის სიმძლავრე 200 მეგავატი იქნება, ჰესის საინვესტიციო ღირებულება 320 მილიონი დოლარია. მისი დასრულება კი მშენებლობის დაწყებიდან 4-5 წელიწადში მოხდება.

მშენებლობის დაწყებას კომპანია ზაფხულისთვის ვარაუდობს.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# სამეგრელოში ტურისტული მარშრუტი „ტობას" განვითარება იწყება



**სამეგრელოში მრავალმილიონიანი ახალი ტურისტული მარშრუტი „ტობას" განვითარება იწყება.**

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში „კომერსანტს" განუცხადეს, ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან (ჩხოროწყუს რაიონი) დაიწყება. კონცეფციის მიხედვით იგეგმება ტობას მიმართულებით გზებისა და საბაგიროს მოწყობა.

როგორც გუბერნატორის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ამ დროისთვის მომზადებულია კონცეფცია, უახლოეს მომავალში კი შედგება ჯგუფი, რომელიც პროექტის დეტალურ შესწავლას და კალკულაციას მოახდენს.

რა დაჯდება აღნიშნული ტურისტული მარშრუტის განვითარება, ამაზე გუბერნატორის ადმინისტრაციაში ამ დროისთვის, მიმდინარე წლის მარტამდე ვერ საუბრობენ, თუმცა, აცხადებენ, რომ წინასწარი გათვლებით პროექტი საკმაოდ მსხვილ ბიუჯეტიანი, შესაძლოა, რამდენიმე მილიონიანიც იყოს.

ტობას განვითარება საკმაოდ დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლება პროექტით ქართველი და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას გეგმავს.

– კონცეფცია უკვე გავაცანით ქართველ ბიზნესმენებს, მათი მხრიდან დაინტერესება დიდია. მარტში დაგეგმილია ბერლინში ერთ-ერთ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობის მიღებაც, სადაც ტობას განვითარების პროექტით დაინტერესებას შევეცდებით, – აცხადებენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში.

* * *

სამეგრელოს მაღალმთიანეთში ტობას განვითარების კონცეფცია საქართველოს სპელეოკავშირის წევრ რომან თოლორდავას ეკუთვნის.

გეგმა დიდი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას გულისხმობს. ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან დაიწყება და ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2.650 მეტრის სიმაღლეზე დამთავრდება, სადაც ტურისტს მყინვარული წარმოშობის 7 ტბის მონახულების შესაძლებლობა ექნება.

განვითარების გეგმა 5 ტობას მოიცავს (დიდღალიშ ტობა, წაქაწყარიშ ტობა, კალაშიშ ტობა, ცაშკიბულიშ ტობავარჩხილი და ჭითაგვალაშ ტობავარჩხილი), ასევე შესაძლებელია, დაემატოს 2 ტობა. იგეგმება გზებისა და საბაგიროს მოწყობა ტობას მიმართულებით.

ერთ ტურისტულ მარშრუტზე შესაძლებელი იქნება შურუბუმეს მღვიმეს, კანიონის და უიშვიათესი მცენარეების დათვალიერება. განვითარების გეგმაში ასევე შედის მდინარე გვალაშარასა და მის კანიონში სამოყვარულო კანიონის განვითარება.

– ეს მარშრუტი ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისთვის, მოყვარულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. პროფესიონალი კანიონიგებისთვის მარშრუტის მოწყობა კი მდინარე კირაზალაზეა შესაძლებელი.

მდინარე ღუნჯი და მისი ჩანჩქერი კი პირველი დონის კანიონიგისთვის იქნება გათვლილი. ტობას განვითარების გეგმის მიხედვით, მდინარე ხობზე რაფტინგისა და კანიონიგის განვითარებაც იგეგმება, – აცხადებენ ადმინისტრაციაში.

დაგეგმილია ტურისტული ბილიკების გაშლა.

ტბებიდან შესაძლებელი იქნება სვანეთში, დაბა ხაიშში ან მეორე მხარეს, ეგრისის ქედის სამხრეთ ნაწილში, კურორტ სკურში გადასვლა. უნდა გაიწმინდოს და დაიგოს გზები, ასევე მოეწყოს საბაგირო ტობას მიმართულებით.

სამეგრელოს მაღალმთიანეთის განვითარების გეგმაში ასევე შედის ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარება.

ამ მიმართულებისთვის შერჩეულია ნათიფურუს, ლანჯერის, ოხოჯეს, გვამარდას და კალაშარას მეჯოგეთა საზაფხულო სადგომები. ასევე შესაძლებელია სათევზაო და სანადირო ტურიზმის განვითარებაც.

* * *

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიას განცხადებით, ტობას განვითარების გეგმა მიზნად ისახავს, რომ ტობა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

– ეს იქნება ახალი შესაძლებლობა ჩვენი რეგიონისთვის, ტობას მიმართულებით გაიზრდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა. ჩვენი რეგიონის ეს ულამაზესი მხარე ტურისტებისთვის რთულად ხელმისაწვდომია, ინფრასტრუქტურა კი განუვითარებელი.

ამჯერად ტურისტებს პირველ ტობამდე 8 კილომეტრის ფეხით გავლა უწევთ, მეორე ტობამდე კი ეს მანძილი 12 კილომეტრია. გასაყვანია გზები და საბაგირო, ამ პროექტის განხორციელებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, რადგან ეს ჩვენი რეგიონისთვის ძალიან მომგებიანი ტურისტული მარშრუტია, – განაცხადა ლევან შონიამ.

ტობავარჩხილი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2.650 მეტრზე მდებარეობს. ტბის უდიდესი სიღრმე 35 მეტრია.

ტობავარჩხილი – ვერცხლის ტბა – მთის გამჭვირვალე ტბის საერთო სახელია. ეგრისის ქედზე ამ სახელწოდების სულ 6 ტბაა.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# თბილისში საერთაშორისო სტანდარტების ამერიკული ჰოსპიტალი აშენდება

**საერთაშორისო სტანდარტების ამერიკული ჰოსპიტალის მშენებლობის პროექტი, რომელსაც ერთობლივად „თიბისი ჰოლდინგი", „კონტი ჯგუფი" და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი განახორციელებენ, იმპლემენტაციის შემდეგ ფაზაზე გადადის. დასრულდა ჰოსპიტლის ოპერატორის არჩევის პროცესი და შეთანხმება გაფორმდა „ინოვა ჯანდაცვის სისტემასთან". ამერიკულ მხარესა და „ინოვას" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გუშინ გაფორმდა.**




საქართველოში ამერიკული ჰოსპიტალის პროექტის საინვესტიციო ღირებულება 42 მილიონი დოლარი იქნება. პირველ ეტაპზე, ჰოსპიტალი 80 საწოლზე იქნება გათვლილი და აქცენტს გააკეთებს ისეთ სამედიცინო სერვისებზე, რომელთა განვითარების დონე საქართველოში დაბალია და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მისაღებად საქართველოს მოქალაქეებს უცხოეთში უწევთ გამგზავრება.

ამერიკულ ჰოსპიტალშიJCI-ს (ჟოინტ ჩომმისსიონ Іნტერნატიონალ) უმაღლესი ამერიკული სტანდარტები და ტექნოლოგიები დაინერგება, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს. JCI გულისხმობს ყველა იმ ძირითადი პარამეტრის გათვალისწინებას, რასაც თანამედროვე სამედიცინო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს. ჰოსპიტალში სამუშაოდ მიწვეული იქნებიან ამერიკაში ლიცენზირებული ქართველი ექიმები. გარდა ამისა, ამერიკული ჰოსპიტალის ბაზაზე დაგეგმილია სამედიცინო ჰაბის შექმნა, სადაც ასევე ჩამოყალიბდება და განვითარდება სასწავლო-სამედიცინო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო დარგის პროფესიონალთა მომზადებას და ქსელის გაფართოებას. ჰოსპიტალი მოემსახურება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონს.

**მამუკა ხაზარაძე, თიბისი ბანკის დამფუძნებელი:**

– უკვე დასრულებულია ყველა წინასწარი სამუშაო და მზად ვარ, რომ პროექტის განხორციელება მიმდინარე წელს დავიწყოთ. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი. მათი აღზრდილი ექიმები მუშაობენ ამერიკის წამყვან კლინიკებში და გვაქვს სურვილი, რომ ამ ჰოსპიტალში სამუშაოდ სწორედ ისინი მოვიწვიოთ. უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს რამდენიმე მათგანთან. მათი პროფესიონალიზმის და გამოცდილების გათვალისწინებით და უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით, გვინდა შევქმნათ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება, რათა საქართველოს მოქალაქეებს არ მოუწიოთ სამკურნალოდ სხვა ქვეყნებში წასვლა და უზარმაზარი ხარჯის გაღება.

**ჯეიმს სანტრი, „ინოვა ჯანდაცვის სისტემის" აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი:**

– ძალიან საინტერესო ქვეყანაა საქართველო. როდესაც ჩამოვედით და ბატონ მამუკასა და მის გუნდს შევხვდით, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი საერთო მიდგომა გვაქვს. ჩვენ ვაპირებთ ერთობლივად შევქმნათ 80-საწოლიანი ჰოსპიტალი, სადაც საერთაშორისო სტანდარტის, უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ ქართველები. ჯერჯერობით დაგეგმარების ფაზაში ვართ და ლოკაციის საკითხიც მალე გადაწყდება.

**უილიამ ლანგი, „ინოვა ჯანდაცვის სისტემის" სამედიცინო დირექტორი:**

– ჩვენ კომპანიას 3-მილიარდიანი ბრუნვა აქვს, მდებარეობს ვირჯინიაში და მართავს 5 ჰოსპიტალის მენეჯმენტს, სადაც სამედიცინო მომსახურებას იღებს წელიწადში 2 მილიონამდე პაციენტი. გვაქვს ამ სფეროში მოღვაწეობის 20-წლიანი გამოცდილება და მოხარული ვართ, რომ შევაბიჯეთ ახალ სამყაროში – საქართველო ჩვენთვის ძალიან საინტერესო ქვეყანაა.

**დიმიტრი ტვილდიანი, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის დამფუძნებელი:**

– მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ „ინოვა" პირველი ამერიკული ოპერატორია ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სფეროში. ეს ნიშნავს, რომ მენეჯმენტი იქნება ამერიკული, რაც ხარისხობრივად მნიშვნელოვნად შეცვლის ჰოსპიტალების მართვას საქართველოში. ჰოსპიტალი მრავალპროფილიანია, თუმცა პირველ ეტაპზე ძირითადი მიმართულებები იქნება დიაგნოსტიკა, ქირურგია და ონკოლოგია.

# „მოსამართლეები, ვინც ნაციონალების დავალებებს ასრულებდნენ, „ოცნების“ ჯიბეში გადაბარგდნენ“

## შალვა ხაჭაპურიძე: „მურუსიძე რომ სასამართლო სისტემის ხელმძღვანელი იქნება, რა უნდა ვილაპარაკოთ იმ სასამართლო სისტემაზე?!“



ნონა ცაბაძე

ქვეყანაში გაზრდილ კრიმინოგენურ ფონს, მოსამართლეების ირგვლივ აგორებულ სკანდალს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე აფასებს.

***— ბატონო შალვა, ქვეყანაში კრიმინალმა იმატა. დღე არ გავა, რომ ვიღაცის მკვლელობის ან დაჭრის ფაქტი არ მოხდეს. რა ხდება?***

— დღეს ქვეყანაში მთავარი პრობლემა ის არის, რომ პოლიტიკური სისტემა არ შეიცვალა, როდესაც სისტემა არ იცვლება, მერე იწყება უამრავი პრობლემა, მოძრაობები, მოქმედებები. ხანძარი სულ ანთია. სისტემურად უნდა მივუდგეთ პროცესებს. კრიმინალი გაიზრდება, რადგან არ არის სწორი მიდგომები.

***— ვის სჭირდება ეს ყველაფერი?***

— მე არ მგონია, ეს ვინმესგან მართული იყოს, პირიქით, უმართავ პროცესებთან გვაქვს საქმე. ბოლო წლებში რა პროცესებიც დაგროვდა, ყველაფერმა ერთად წამოიწია წინა პლანზე და ერთად იჩინა თავი. მიდგომა კი ზედაპირულია და ესაა ამ ყველაფრის მიზეზი. სამწუხაროდ, ვერაფერი სისტემური ვერ შევცვალეთ. ეს მარტო ამ ხელისუფლების ბრალი არ არის, თუმცა გამოსასწორებელი ძალიან ბევრია.

ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს, რომელიც უნდა შეეხოს სასამართლოსაც და სხვა ნებისმიერ სფეროს. პირველ რიგში კი, სასამართლოს!

***— სასამართლო ახსენეთ და რა ხდება დღეს სასამართლო სისტემაში? რამდენად არიან მართლაც მოსყიდული და დაშანტაჟებული მოსამართლეები?***

— მტრის და ავისას, აქ რომ ხდება! ახალი რა უნდა ხდებოდეს, ისინი, ვინც იყვნენ და ასრულებდნენ ნაციონალების დავალებას, ისევ ის ხალხია წამყვანები. მაშინაც იყვნენ წესიერი მოსამართლეები და ახლაც არიან, თუმცა ამინდს და კლიმატს ქმნიან ის მოსამართლეები, ვინც დავალებებს ასრულებდნენ.

***— ახლა ვის დავალებებს ასრულებენ, ისევ ნაციონალების?***

— არა, ვინც ნაციონალების დავალებებს ასრულებდნენ, ისინი დღეს გადაბარგდნენ ხელისუფლების ჯიბეში! არ ვიცი, მათ რა ვუწოდო, აღარც „ოცნების“ მომხრეებს ვუძახი და არც — ნაციონალების. აზრი არ აქვს, ჩვენთან ასე დამკვიდრდა — ვინც მოვა ხელისუფლებაში, იმის მხარეს მიდის სასამართლო, იმის მხარეს მიდიან სამართალდამცავი ორგანოები და ყველა ინსტიტუტი. ჯოხი რომ დააყენო ხელისუფლების სათავეში, ჯოხოსნები გახდებიან! ამიტომ მათ აღარც ქოცებს ვუწოდებ და აღარც — ნაცებს! მანქურთების შთამომავლებით გაივსო ეს ქვეყანა!

***— რას იტყვით დანაშაულის სტატისტიკაზე?***

— მართალია, შს მინისტრი აღარ გვიქვეყნებს სტატისტიკას, მაგრამ რად უნდა ამას სტატისტიკა? ყველამ ყველაფერი ისედაც კარგად ვიცით. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ მკვეთრი მატებაა, რაღაცა ნაწილში გაზრდილია, რაღაც არ არის გაზრდილი. უფრო წვრილი და საშუალო დონის დანაშაულებებმა იმატა.

***— ქუჩაში დაჭრის და მკვლელობის ფაქტებიც ხშირია. ამაზე რას იტყვით?***

— მე უშუალოდ ამ თემაზე ვმუშაობ და სტატისტიკურად მკვლელობებზე ვერ ვიტყვით, რომ გაზრდილია. უბრალოდ, ახლა უფრო მეტად შუქდება. თან გააჩნია, რომელ წლებს ვადარებთ. ღიად შემიძლია ვთქვა, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის რიცხვი გაზრდილი არ არის.

რეალური რეფორმები რომ გატარებულიყო, ამ კუთხით უკეთეს სურათს მივიღებდით. რეალური რეფორმები არ ტარდება. აბა რა გითხრათ, ჩინჩალაძე და მურუსიძე რომ სასამართლო სისტემის ხელმძღვანელები იქნებიან, რა უნდა ვილაპარაკოთ იმ სასამართლო სისტემაზე?! ნაზღაიძეზე რას ფიქრობთო და მაიტა ნასოსის ანეკდოტი მოგვიყვა.

***— თქვენ რას ფიქრობთ ნაზღაიძის ირგვლივ ატეხილ სკანდალზე?***

— რთული სათქმელია. მე იურისტი ვარ და პოლიტიკურ განცხადებებს ვერ გავაკეთებ. როდესაც ასეთი აჟიოტაჟია ატეხილი და ეს დაკავშირებულია მოსამართლის სახელთან, პოლიტიკაში ასეთი რამ ხშირად ხდება, შესაძლებელია, რომ ეს ხელოვნურად დააკავშირო.

როდესაც კითხვები ჩნდება მოსამართლე ნაზღაიძესთან დაკავშირებით, ვიღაცამ პასუხი უნდა გასცეს და მურუსიძე ნამდვილად არ უნდა იძლეოდეს ამაზე რაღაც გაუგებარ პასუხებს. ვინმე სერიოზული ადამიანი უნდა გამოდიოდეს, ვინც ავტორიტეტია და უნდა გასცეს დასაბუთებული პასუხი. მურუსიძე სასამართლოს სახე — ეს ერთი დიდი პაროდიაა! რატომ ვერ შეძლეს ამ სახის მოშორება?!

***— ნაციონალების დროინდელ სახეებზე საუბრობთ და ასევე აქტიურად მიდის საუბარი იმაზეც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ისევ ძველი კადრებია. რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?***

— ამ ხალხის ძირითადი ნაწილი არც არსად გაუშვიათ. ვინც გაუშვეს, არც იმათ დაბრუნებას გამოვრიცხავ. მსოფლიოს ახსოვს ლიდერები, ვინც ასე მოიქცა, არ ჩაატარა მასობრივი წმენდა და დემოკრატიის სამსახურში ჩააყენა ის ხალხი, ვინც რეჟიმს ქმნიდა.

ჩვენთან კი სისტემა არ არსებობს. ძალიან მყიფე ვითარებაა და წარმოუდგენელია, ეს პრობლემები დარეგულირდეს, სანამ ჩვენ პოლიტიკურ სისტემას არ შევცვლით და რეალურად არ დავიწყებთ ამ პოლიტიკური სისტემის განხორციელებას.

ხელისუფლებას უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმისკენ მოვუწოდებ.

# მაია და გურამ რჩეულიშვილები სასამართლოში დაკითხვაზე არ გამოცხადდნენ

მაია და გურამ რჩეულიშვილები სასამართლოში დაკითხვაზე არ გამოცხადდნენ.

გუშინ, 14 თებერვალს, ცენტრ პოინტის საქმის ბათუმის მაგნოლიას ეპიზოდზე ბრალდებულების დაკითხვა იგეგმებოდა, თუმცა ისინი პროცესზე არ მივიდნენ.

პროცესის დაწყებამდე ცენტრ პოინტის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის ადვოკატებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ მაია რჩეულიშვილი სასამართლოში ჩვენების მისაცემად გამოცხადდებოდა.

როგორც რჩეულიშვილის ადვოკატმა მარიამ ცუცქირიძემ აღნიშნა, დაცვის მხარე 13 თებერვალს შეხვდა ბრალდებულს, მისგან მოისმინა მზაობა სასამართლოზე გამოცხადების და დაკითხვის წინ პოზიციები შეათანხმა. მისივე თქმით, ადვოკატებისთვის ამ დროისთვის უცნობია, რატომ არ გამოცხადდა მაია რჩეულიშვილი სასამართლო პროცესზე.

თავის მხრივ, სახელმწიფო ბრალდება მიიჩნევს, რომ ბრალდებულები გურამ და მაია რჩეულიშვილები თავს არიდებენ სასამართლოში გამოცხადებას და პროცესების გაჭიანურებას ცდილობენ.

პროკურორ დავით გუმბერიძის თქმით, ბრალდება რამდენიმე პროცესია, ელოდება გურამ და მაია რჩეულიშვილების გამოცხადებას სასამართლოში დაკითხვის მიზნით. მისივე განმარტებით, ბრალდება აღარ დაკითხავს რჩეულიშვილებს და ამით საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევას ასრულებს.

როგორც მან აღნიშნა, ბრალდებულებს ვერც დაცვის მხარე დაკითხავს მიუხედავად იმისა, რომ გურამ და მაია რჩეულიშვილები მათ



დასაკითხ პირთა სიაშიც არიან.

ბრალდებულებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მხოლოდ დასკვნითი სიტყვის დროს შეეძლებათ.

# ვაგზლის მოედანზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით არასრულწლოვანი დააკავეს

სამართალდამცველებმა ვაგზლის მოედანზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებულ საქმეზე არასრულწლოვანი დააკავეს.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული გ.ქ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 13 თებერვალს თბილისში, ვაგზლის მოედანზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა 2001 წელს დაბადებულ გ.ს.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, თბილისში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

# სასამართლომ ზვიად ჯანყარაშვილის სარჩელი ირაკლი კორძაიას წინააღმდეგ არ დააკმაყოფილა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, სასამართლომ შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის ზვიად ჯანყარაშვილის სარჩელი ირაკლი კორძაიას წინააღმდეგ არ დააკმაყოფილა.

როგორც ინტერპრესნიუსს საიადან აცნობეს, სასამართლომ ცილისმწამებლური ფაქტების უარყოფის საქმეზე ზვიად ჯანყარაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

დავა ეხებოდა ირაკლი კორძაიას მიერ ტელეკომპანია იმედში ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმეზე გაკეთებულ კომენტარს. ირაკლი კორძაიას ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.



— ზვიად ჯანყარაშვილი ითხოვდა ირაკლი კორძაიას მიერ გაკეთებული იმ განცხადების ცილისწამებად მიჩნევას, სადაც ის აცხადებდა, რომ ზვიად ჯანყარაშვილსა და გია უდესიანს საერთო ბიზნესინტერესები ჰქონდათ. მისივე განცხადებით, ზვიად ჯანყარაშვილი შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსად მუშაობის დროს ბესო ხარძიანის საქმის გამოძიებას აფერხებდა, — განმარტავენ საიაში.

საიას მიაჩნდა, რომ ირაკლი კორძაიას მიერ გაკეთებული განცხადებები წარმოადგენდა აზრს და არა ფაქტს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით კი აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე ზვიად ჯანყარაშვილის არგუმენტები და მიიჩნია, რომ ირაკლი კორძაიას მიერ გაკეთებული განცხადება იყო შეფასება და მსჯელობა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ლევან ალაფიშვილი: „სასამართლოს სისტემურ დამოუკიდებლობაზე ჩვენმა პარლამენტმა უარი თქვა“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***— ამის საპასუხოდ ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ ისეთი მნიშვნელობის რეფორმა, რომელსაც საერთო სასამართლოებში ატარებს, ამის ერთ-ერთ მაგალითად საქმეთა ელექტრონული განაწილება მოჰყავს, აქამდე ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაატარა.***

— კი ბატონო, შესანიშნავი არგუმენტია, მაგრამ აქვე, როდესაც ეს არგუმენტი მოჰყავთ, ერთ კითხვას უნდა გასცენ პასუხი: ის ახალგაზრდები, ზოგი სპორტსმენი, ზოგიც ხელოვანი, რომლებიც პარლამენტში არიან და იურისპრუდენციის საფუძვლებს იქვე პარლამენტში რომ სწავლობენ, ასეულობით გამოცდილ მოსამართლეს, მოსამართლეთა მთელ კორპუსს, როგორ ეუბნებიან, რომ ჩვენ, პოლიტიკოსები გადავწყვეტთ, როდის მოგანიჭოთ სრული დამოუკიდებლობა? მათ ამ კითხვაზე უნდა გასცენ პასუხი.

სწორედ ამას ედავებოდა საპარლამენტო უმრავლესობას პრეზიდენტი და სხვას არაფერს. მოსამართლეებმა ყველაზე კარგად თავად არ იციან, რომ დამოუკიდებლობა ჰაერივით არის საჭირო ობიექტური სასამართლო სისტემის შესაქმნელად? პრეზიდენტმა მარგველაშვილმა დეპუტატებს უთხრა, დღესვე მიეცით ამ ხალხს დამოუკიდებლობა, თვითონვე აირჩიონ სასამართლოს თავმჯდომარეები.

სასამართლოს სისტემურ დამოუკიდებლობაზე ჩვენმა პარლამენტმა, სამწუხაროდ, უარი თქვა. უარი თქვეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც საჯარო ფიცი დადეს ამომრჩევლის, ამ ქვეყნის მოქალაქეების წინაშე, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობით ბოროტად არ ისარგებლებდნენ. მთელ საზოგადოებას გვითხრეს ამ ადამიანებმა, ჩვენ, პოლიტიკოსები, გადავწყვეტთ, რა და როგორ იქნება!

არადა, ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე აცნობიერებს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობას ალტერნატივა არ აქვს. აი, ამაზე თქვეს უარი, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, რაც ეჭვგარეშეა, რომ თავის უარყოფით კვალს აუცილებლად დატოვებს.

გამოძიებისადმი უნდობლობა, სასამართლოსადმი უნდობლობა ძალიან დიდ დაღს ასვამს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას.

# ტრამპის მრჩეველი გადადგა

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში გენერალი მაიკლ ფლინი სკანდალების გმირი წარსულშიც არაერთგზის გამხდარა.

გენერალს კარგა ხანია რუსებთან ახლო კონტაქტები ჰქონდა. ამის გამო მის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ როგორც რესპუბლიკური პარტიის გავლენიანი ლიდერები, აგრეთვე თვით ტრამპის გუნდის წევრებიც. ფლინი მოსკოვს არაერთგზის ესტუმრა. ერთ-ერთ ბანკეტზე ის ვლადიმერ პუტინის გვერდითაც იჯდა. ფოტო, სადაც ფლინი პუტინის გვერდითაა აღბეჭდილი, აშშ-ის პრესაში მოხვდა და გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. აზვირთდა სკანდალი, თუმცა იმხანად მისი ჩაქრობა მოხერხდა.

ტრამპმა გენერალი თავის მრჩევლად დანიშნა. ახლა ფლინი ახალ სკანდალში გაეხვია. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისთვის“ ცნობილი გახდა ფლინის კონტაქტების შესახებ რუსეთის ელჩ კილსიაკთან. კერძოდ, გასაჯაროვდა გენერლის სატელეფონო საუბარი ელჩთან, სადაც მან აღუთქვა ელჩს, რომ ინაუგურაციის შემდეგ ტრამპი პუტინს შეხვდება, მანამდე კი სანქციებს მნიშვნელოვნად შეასუსტებს.

ეს საუბარი ტრამპის ინაუგურაციამდე შედგა. შესაბამისად, ფლინი პრეზიდენტის მრჩევლად ჯერ არ იყო დანიშნული.



ამერიკაში არსებობს დაუწერელი კანონი: კერძო პირი პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიოს. ამჯერად ეს კანონი დაირღვა. ფლინმა, რომელიც იმხანად კერძო პირი იყო, რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენელს სრულიად გარკვეული სიგნალი გაუგზავნა. რუსეთის მიმართ სანქციების შესუსტებას კი უაღრესად ნეგატიურად ეკიდებიან როგორც კონგრესში, აგრეთვე ტრამპის ადმინისტრაციის მნიშვნელოვან ნაწილშიც. ამიტომ გასაგებია ის აღშფოთება, რაც ფლინის რუსეთის ელჩთან კონტაქტების გასაჯაროებამ გამოიწვია.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე პესკოვმა მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ფლინთან სანქციების მოხსნის თაობაზე ლაპარაკი არ ყოფილა.



— ჩვენ მხოლოდ პუტინ-ტრამპის შესაძლო შეხვედრის დეტალები განვიხილეთ, — თქვა პესკოვმა.

საბოლოოდ კი მაიკლ ფლინი პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობიდან გადადგა. მის ნაცვლად ეს პოსტი გენერალმა ქით ქელოგმა დაიკავა.

## დონალდ ტრამპი კანადის პრემიერს შეხვდა

ვაშინგტონში კანადის პრემიერი ტრიუდო ჩავიდა.

ტრამპთან მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-კანადას შორის ვაჭრობის და მიგრაციის პრობლემები იყო.

ტრამპმა ქალი ბიზნესმენების საკითხიც წამოჭრა.

— ქალები უფრო პუნქტუალურნი და პრაგმატულნი არიან, ვიდრე მამაკაცები. მათ ბიზნესში მოსვლას უნდა ხელი შევუწყოთ, — თქვა ტრამპმა.



## ჰამასის ღაზას დაჯგუფების ლიდერად ფუნდამენტალისტი აირჩიეს

ქალაქ ღაზას სექტორში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასის დაჯგუფების ლიდერად უკიდურესი ექსტრემისტი და ფუნდამენტალისტი იახია სინვარი აირჩიეს.

ის ისრაელის წინააღმდეგ ყველაზე სასტიკი მეთოდების გამოყენების მომხრეა.

სინვარის სახელი ტერორისტულ სამყაროში კარგადაა ცნობილი. ის მკვლელობისთვის ისრაელის ციხეში სასჯელსაც იხდიდა.

ექსპერტები თვლიან, რომ სინვარის წინა პლანზე წამოწევა მიუთითებს, რომ უახლოეს ხანებში ჰამაზის ანტიისრაელური აქციების გააქტიურებაა მოსალოდნელი.







## მაკრონის შტაბის უფროსი რუსეთს ბრალს სდებს

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატ ემანუილ მაკრონის საარჩევნო შტაბის უფროსმა რიშარ ფერნანმა რუსეთი კიბერშეტევებში დაადანაშაულა.

ფერნანი ამტკიცებს, რომ უკვე დაფიქსირდა მაკრონის საკომპიუტერო ქსელში შეღწევის არაერთი შემთხვევა.

— რუსეთი ცდილობს, საფრანგეთის შიდა საქმეებში ჩაერიოს და პრეზიდენტად მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანოს. მაკრონი კი რუსეთის სქემაში არ ზის, — ამბობს ფერნანი.



## ერდოღანს სირიაში უსაფრთხო ზონების შექმნა სურს

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ სირიაში უსაფრთხო ზონების შექმნა სურს.

— ჩვენი მიზანია სირიის გათავისუფლება როგორც ისლამური სახელმწიფოს, ასევე ქურთების შეიარაღებული რაზმებისგან, — აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ როგორც კი ამ მიზნებს მიაღწევს, სირიიდან ჯარს გაიყვანს.

— ჩვენ სირიაში სამუდამოდ დარჩენას არ ვაპირებთ. თურქეთისთვის ეს მეტისმეტი ფუფუნებაა, — ამბობს ერდოღანი.

თურქეთის პრეზიდენტის განცხადებას სირიის დიქტატორი ასადი უმალ გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ ქვეყანაში თურქეთის ჯარის ყოფნას არ შეეგუება.

— თუკი ერდოღანი ჯარებს დაუყოვნებლივ არ გაიყვანს, ამის გაკეთებას ძალით ვაიძულებთ, — განაცხადა ასადმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## აშშ-მ ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტი შავ სიაში შეიყვანა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტ ტარეკ ელ აისამს სანქციები დაუწესა, რომლის მიხედვითაც ის ვერ შეძლებს აშშ-ში ბიზნესის წარმოებას და მისი აქტივები გაიყინება.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ ელ აისამს ნარკობიზნესთან კავშირს აბრალებენ. ამერიკაში თვლიან, რომ ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტს მჭიდრო კავშირი აქვს რამდენიმე კოლუმბიელ ნარკობარონთან და აქტიურად არის ჩართული მათ ბიზნესში.

გარდა ამისა, ელ აისამის ტერორისტულ დაჯგუფებებთან ურთიერთობაზეც აქტიურად საუბრობენ, თუმცა ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტს ოფიციალურად ბრალი წაყენებული არა აქვს.

თვითონ ელ აისამი ყველა ბრალდებას უარყოფს და აშშ-ის სანქციების შესახებ ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მიუხედავად ამისა, ამერიკაში მის დანაშაულებრივ საქმიანობაში დარწმუნებულები არიან. კონგრესის 34-მა წევრმა დონალდ ტრამპს წერილიც კი გაუგზავნა, სადაც ისინი ელ აისამის წინააღმდეგ



სანქციების დაკისრებას ითხოვდნენ და საბოლოოდ ასეც მოხდა.

## სტამბოლში საახალწლო ტერაქტის ორგანიზატორი დააკავეს

სტამბოლში საახალწლო ღამეს მომხდარი ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორი დააკავეს.

31 დეკემბრის ღამეს სტამბოლის ღამის კლუბში უცნობმა მამაკაცმა ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც 40 ადამიანი დაიღუპა.

ტერორისტი აბდულკადირ მაშარიპოვი 16 იანვარს აიყვანეს და ტერორიზმში ბრალდება წაუყენეს. ამჯერად სტამბოლის პოლიციამ მაშარიპოვის მოკავშირე აიყვანა, რომლის ბინაშიც ცხოვრობდა ტერორისტი, სანამ მას დაიჭერდნენ.

ტერაქტის ორგანიზებაში ბრალდებულის ვინაობა ჯერჯერობით დაუზუსტებელია, თუმცა ცნობილია ის ფაქტი, რომ ის თურქი წარმოშობის საფრანგეთის მოქალაქეა და მას ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი ჰქონდა.

დაკავებული ადრეც იძებნებოდა ტერორისტული საქმიანობის გამო.

## ავსტრიაში „ჰიტლერი“ დააპატიმრეს





ქალაქ ბრანაუში (ავსტრია) პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელიც ქუჩაში ჰიტლერის კოსტიუმით დასეირნობდა. მას ისევე ეცვა, როგორც განსვენებულ ფიურერს. გრიმიც ისე ოსტატურად ეკეთა, რომ ჰიტლერისგან ვერ გამოარჩევდით.

ბრანაუ ფიურერის მშობლიური ქალაქია. აქ „ჰიტლერის“ გამოჩენით ნეონაცისტებმა საზოგადოებას ამცნეს, რომ ნაციზმი საფლავიდან აღდგა.

დაკავებული მამაკაცის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მალე ის სასამართლოს წინაშე წარდგება.


## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სოლომონ კვერკველია: „რუსეთის ნაკრებს უარი ვუთხარი“

**საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის რუბინის მცველმა საბა კვერკველიამ რუსეთის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ცხადია, ნაკრების წამყვანი ფეხბურთელის უთამაშებლობა ეროვნულ გუნდზე იმოქმედებს ცუდად. სწორედ ამიტომ არის საინტერესო მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები.**

**კვერკველია ამჟამად რუბინთან ერთად ესპანურ შეკრებაზე იმყოფება, სადაც „სოვეტსკი სპორტის“ ჟურნალისტი დაუკავშირდა.**



***– როგორ განიხილავთ თქვენ ამჟამინდელ მდგომარეობას გუნდში – ძირითადის, სათადარიგო, წამსვლელი თუ ტრანსფერზე დაყენებული ფეხბურთელის?***

– მე ფეხბურთელი ვარ. ისეთივე, როგორიც ყველა. რუბინთან მოქმედი კონტრაქტი კიდევ 3 წელი მაკავშირებს. იყო სხვა კლუბში გადასვლის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ რუბინთან შეთანხმება ვერ მოხერხდა. რადგან ასეა, ვფიქრობ, უნდა დავრჩე და ვივარჯიშო. დრო გვიჩვენებს.

***– მზად ხართ, იჯარით წახვიდეთ?***

– იჯარა არ მინდა.

***– ბოლო-ბოლო, ითამაშებდით მაინც.***

– ჩემს იჯარაზე რეალური წინადადება არ ყოფილა. რომ ყოფილიყო, განვიხილავდი მაინც...

***– ნაკლებ ხელფასზე სხვა გუნდში გადასვლას დათანხმდებით?***

– ასეთ საკითხებს კონკრეტიკა სჭირდება. რამდენად ნაკლებზე? გადასვლა სად? ამის გარეშე საუბარი უაზრობაა.

***– მიმდინარე სეზონში 5 ტურის გასვლის შემდეგ ინტერვიუში სამწვრთნელო შტაბი თქვენდამი უნდობლობის გამო გააკრიტიკეთ. მას შემდეგ რამე შეიცვალა?***

– ჩემპიონატში არც ერთ მატჩში მითამაშია. ვნახოთ, რა იქნება სეზონის დარჩენილ ნაწილში. ვიმუშავებ, როგორც ყველა. არსად მივდივარ.

***– იმ ინტერვიუს შემდეგ მთავარი მწვრთნელის, ხავი გრასიას რაიმე სახის რეაქცია შეამჩნიეთ?***

– ვერაფერს გეტყვით. რა თქმა უნდა, ხისტად ნათქვამი გამომივიდა. ემოციურად ვილაპარაკე, რადგან რთული მომენტი მქონდა. როგორია, წლიდან წლამდე მუდმივად თამაშობდე და უცებ უსარგებლო გახდე. თითქოს სადღაც ჩავიკარგე. ახლა ემოციები განელდა და უკვე ვიცი, ვისთან როგორ უნდა მოვიქცე.

***– მთავარ მწვრთნელთან დალაპარაკება თუ სცადეთ?***

– და რაზე უნდა ვილაპარაკოთ? მწვრთნელი არის ადამიანი, ვინც ყველაფერს ისე წყვეტს, როგორც თავად სურს. რუბინს ჩემი გაშვება რომ უნდოდეს, ნორმალური თანხის სანაცვლოდ შემელეოდა.

***– და რამდენად?***

– 2-3 მილიონად. რამდენსაც ჩემში ითხოვდნენ (5 მილიონი), წასვლა ძნელია. რადგან კლუბებმა ვერ მოილაპარაკეს, უნდა ვიმუშაო და დავამტკიცო, რომ ფეხბურთში რაღაც შემიძლია. საკონტროლო მატჩებში თითო ტაიმს ვთამაშობ, ცხოვრება გრძელდება. მწვრთნელი ყველაფერს ხედავს და დანარჩენი მისი გადასაწყვეტია.

***– გასაგებია, რომ რუბინს თქვენი გაშვება დაცვაში დეფიციტის შექმნის საშიშროების გამო არ სურს. იქნებ ის მაინც გაგერკვიათ, რა აზრისაა გრასია თქვენზე?***

– რა უნდა თქვას? საერთოდ, პრეტენზია არავის მიმართ მაქვს. ყველაფერი ხდება. არ არსებობს ფეხბურთელი, ყველა მატჩში რომ თამაშობდეს. მთავარი ჯანმრთელობაა და მადლობა უფალს, ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს.

***– რატომ გეძახის გუნდში ყველა საბას?***

– ჩემი სახელი შემოკლებით სწორედ ასე გამოითქმის. როგორც დავითის შემოკლებული ვარიანტია დათო, ასევეა სოლომონის შემთხვევაში საბა.

***– მეგრელი ხართ?***

– გვარია მეგრული, მაგრამ დავიბადე და გავიზარდე სამტრედიაში, იმერეთში.

***– ერთ დროს იქ საკმაოდ კარგი ლოკომოტივი გამოდიოდა.***

– დღეს სამტრედია ქვეყნის ჩემპიონია. კარიერის დასაწყისში ჩვენთან თამაშობდა ზაზა ჯანაშია. კახა კალაძე დაიბადა და ჭაბუკობისას თამაშობდა სამტრედიაში.

***– იქ დიდი სტადიონია?***

– 5-6.000-იანი.

***– ერთმა თქვენმა თანამემამულემ, რუბინში თქვენს გარშემო შექმნილ ვითარებაზე საუბრისას თქვა – ან უნდა წავიდეს, ან გაჩუმდესო.***

– არასდროს დავხრი თავს და დავდუმდები. ჯერ კაცი ვარ და მხოლოდ ამის შემდეგ ფეხბურთელი. თუკი ვინმე აუგს რამეს მაკადრებს, საკადრის პასუხს გავცემ. თუ საჭირო გახდება, სახეშიც მიიღებს, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს. რუბინში უკვე 6 წელია ვარ, რაც პატარა დრო არაა. ყველაზე უკეთ ვიცი, რა ვითარებაა აქ. ცუდს არავინ მკადრებს და ამიტომაც მშვიდად ვაგრძელებ ჩემ საქმეს.

***– ანუ ითმენთ.***

– კონტრაქტის დასრულებამდე უფეხბურთო 3 წელიწადს ვერავინ მოითმენს.

***– თქვენ ამ სეზონში არც დუბლებში გითამაშიათ?***

– არა.

***– პრაქტიკის გარეშე დარჩენა რომელ საფეხბურთო თვისებებს ავნებს? თუ, პირველ რიგში, ეს თავმოყვარეობაზე მოქმედებს?***

– ასე გიპასუხებთ: არ უნდა დაუჯერო კაცს, რომელსაც კარგად არ იცნობ. უნდა ენდო მხოლოდ მეგობარს, ძმას ან ადამიანს, ვისთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა გაკავშირებს, ხოლო ერთი წლის ნაცნობს – არა. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე.

***– ვის გულისხმობთ?***

– არ ვიტყვი, თუმცა თავად მიხვდება.

***– საკუთარ თავში თუ ხედავთ იმის მიზეზს, რაც თქვენს თავს ხდება?***

– დაწერეთ – კვერკველიას გამოცდილება არ ჰყოფნის. რუბინში ასზე მეტი შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ მაინც არასაკმარისია. გამოუცდელი ვარ, ანდა სუსტი. ესეც ერთგვარი ვერსიაა.

***– უტრირებთ, მაგრამ, ხომ ედრებით მათ, ვინც თამაშობს?***

– საკუთარ ნაკლზე არავინ გეტყვით, მაგრამ რადგან არ ვთამაშობ, გამოდის, რომ მე სუსტი ვარ, ისინი კი – ძლიერები.

***– ყაზანს მიეჩვიეთ?***

– დიდი ხანია. ყველა მიცნობს და ყველას ვიცნობ. ბევრი მეგობარი მყავს და თავს კომფორტულად ვგრძნობ.

***– ქართული რესტორნები არის?***

– მრავლად და თანაც ნამდვილი, რადგან მათი მეპატრონეები ქართველები არიან.

***– საქართველოს ნაკრებში როგორ მიგდით საქმე?***

– აი, წელიწადში ოცჯერ რომ გამომიძახონ ნაკრებში, ოცჯერვე ჩავალ დიდი სიამოვნებით! იმ ქვეყნის სახელით თამაში, სადაც დაიბადე, ისწავლე ყველაფერი – ბედნიერებაა. და კიდევ, მადლობა ჩვენს მწვრთნელ ვლადიმირ ვაისს. როდესაც კლუბში სათამაშო პრაქტიკა არ გაქვს, ნაკრებში კი მუდმივად გადიხარ მოედანზე, ეს ძალიან დიდი მხარდაჭერაა. ესპანელებს მოვუგეთ, უელსს ფრე ვეთამაშეთ. ოქრიაშვილს, ჯანოს, ჭანტურიას არანორმალური პოტენციალი აქვთ. მიეცი პასი და შეხედე, რას შექმნიან. დადექი და ამოისუნთქე – ბურთის დაჭერა 3-4 წუთის განმავლობაში თავისუფლად შეუძლიათ. ოდესღაც რუსეთის ნაკრებში მეც მიწვევდნენ. მოვიდნენ ბაზაზე, იყო საუბარი. ერთი სიტყვა იყო საჭირო – დიახ. მე კი ვთქვი – არა. ჩემი არის საქართველოს ნაკრები და ის ჩემთვის ყველაფერია.

***– თქვენი აგენტი რევაზ ჩელებაძეა?***

– შეთანხმება, როგორც აგენტთან, არავისთან მაქვს. მაქვს კარგი ურთიერთობები და მათ შორის, ჩელებაძესთან. თუკი ვინმე კარიერის გაგრძელების კარგ ვარიანტს შემომთავაზებს, განვიხილავ.

## მანჩესტერ იუნაიტედი ტორინოს ფორვარდით დაინტერესდა

მანჩესტერ იუნაიტედმა თვალი იტალიური ტორინოს ფორვარდს ანდრეი ბელოტის დაადგა, რომელიც თავის ქვეყანაში ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება.



ბელოტი ამჟამად 23 წლის არის და მისი შეძენა რამდენიმე გრანდს, მათ შორის მადრიდის რეალსაც სურს.

მოურინიოს ბელოტის თამაშის სტილი მოსწონს და სურს, რომ იტალიელი თავდამსხმელი მომავალ სეზონში ოლდ ტრაფორდზე გადაბარგდეს.

მანჩესტერის ცენტრალური ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი უკვე 35 წლის არის და მანჩესტერში დიდხანს ალბათ არ გაჩერდება.

ტორინოს ამ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## საფეხბურთო სეზონი მარტვილში სუპერთასით გაიხსნება




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელმაც საქართველოს 2017 წლის 29-ე ჩემპიონატისა და დავით ყიფიანის სახელობის თასის 28-ე გათამაშების დებულება დაამტკიცა.

საქართველოს ახალი საფეხბურთო სეზონი კი, 26 თებერვალს სუპერთასით მარტვილში გაიხსნება – ქვეყნის ჩემპიონი სამტრედია თასის მფლობელ ქუთაისის ტორპედოს მურთაზ ხურცილავას სახელობის სტადიონზე დაუპირისპირდება.

## სერხიო რამოსი: „ნაპოლისთან ყურადღებით უნდა ვიყოთ“

მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა ნაპოლისთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდი ყურადღებით უნდა იყოს.

– იტალიელებთან თამაში გვიჭირს, თან ნაპოლი ამჟამად კარგ ფორმაშია, ამიტომ ჩვენი მხრიდან უნდა შევეცადოთ, რომ მინიმალურად დავუშვათ შეცდომები. პირველ მატჩში მნიშვნელოვანია, რომ გოლი არ გავუშვათ, – განაცხადა სერხიო რამოსმა.

რამოსმა თავის მომავალზეც ისაუბრა და თქვა, რომ კარიერის დასრულებას რეალში აპირებს და ამ გუნდში ის ძალიან ბედნიერია.



რეალი-ნაპოლის დაპირისპირება ოთხშაბათს, 15 თებერვალს, მადრიდში გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## შედეგები

**13 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-სიტი ............................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 25 | 19 | 3 | 3 | 52-18 | 60 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 4 | 5 | 51-29 | 52 |
| 3.ტოტენჰემი | 25 | 14 | 8 | 3 | 46-18 | 50 |
| 4.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54-28 | 50 |
| 5.ლივერპული | 25 | 14 | 7 | 4 | 54-30 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 38-21 | 48 |
| 7.ევერტონი | 25 | 11 | 8 | 6 | 40-27 | 41 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 10 | 7 | 8 | 34-31 | 37 |
| 9.სტოკი | 25 | 8 | 8 | 9 | 30-36 | 32 |
| 10.ვესტ ჰემი | 25 | 9 | 5 | 11 | 34-43 | 32 |
| 11.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-31 | 30 |
| 12.ბარნლი | 25 | 9 | 3 | 13 | 27-36 | 30 |
| 13.უოტფორდი | 25 | 8 | 6 | 11 | 29-42 | 30 |
| 14.ბორნმუთი | 25 | 7 | 5 | 13 | 35-49 | 26 |
| 15.სუონსი | 25 | 7 | 3 | 15 | 31-54 | 24 |
| 16.მიდლსბრო | 25 | 4 | 10 | 11 | 19-27 | 22 |
| 17.ლესტერი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-43 | 21 |
| 18.ჰალი | 25 | 5 | 5 | 15 | 22-49 | 20 |
| 19.კრ.პალასი | 25 | 5 | 4 | 16 | 32-46 | 19 |
| 20.სანდერლენდი | 25 | 5 | 4 | 16 | 24-46 | 19 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-გრანადა ............................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 20 | 15 | 4 | 1 | 54-18 | 49 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 6 | 2 | 61-18 | 48 |
| 3.სევილია | 22 | 14 | 4 | 4 | 44-28 | 46 |
| 4.ატლეტიკო | 22 | 12 | 6 | 4 | 39-18 | 42 |
| 5.სოსიედადი | 22 | 13 | 2 | 7 | 36-31 | 41 |
| 6.ვილიარეალი | 22 | 9 | 9 | 4 | 29-15 | 36 |
| 7.ბილბაო | 22 | 10 | 5 | 7 | 28-26 | 35 |
| 8.ეიბარი | 22 | 10 | 5 | 7 | 33-29 | 35 |
| 9.ესპანიოლი | 22 | 8 | 8 | 6 | 30-29 | 32 |
| 10.სელტა | 21 | 9 | 3 | 9 | 33-36 | 30 |
| 11.ლას პალმასი | 22 | 7 | 7 | 8 | 31-33 | 28 |
| 12.ალავესი | 22 | 6 | 9 | 7 | 21-28 | 27 |
| 13.ბეტისი | 21 | 6 | 6 | 9 | 21-31 | 24 |
| 14.მალაგა | 22 | 5 | 8 | 9 | 29-36 | 23 |
| 15.ვალენსია | 21 | 5 | 5 | 11 | 29-40 | 20 |
| 16.დეპორტივო | 21 | 4 | 7 | 10 | 26-34 | 19 |
| 17.ლეგანესი | 22 | 4 | 6 | 12 | 15-37 | 18 |
| 18.ხიხონი | 22 | 4 | 4 | 14 | 24-43 | 16 |
| 19.გრანადა | 22 | 2 | 7 | 13 | 17-48 | 13 |
| 20.ოსასუნა | 22 | 1 | 7 | 14 | 24-49 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ბოხუმი ............................ 2:1

**იტალია. სერია ა**

ლაციო-მილანი ............................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 20 | 0 | 4 | 49-16 | 60 |
| 2.რომა | 24 | 17 | 2 | 5 | 50-21 | 53 |
| 3.ნაპოლი | 24 | 15 | 6 | 3 | 57-26 | 51 |
| 4.ინტერი | 24 | 14 | 3 | 7 | 39-24 | 45 |
| 5.ატალანტა | 24 | 14 | 3 | 7 | 39-26 | 45 |
| 6.ლაციო | 24 | 13 | 5 | 6 | 42-28 | 44 |
| 7.მილანი | 24 | 12 | 5 | 7 | 34-28 | 41 |
| 8.ფიორენტინა | 24 | 11 | 7 | 6 | 41-33 | 40 |
| 9.ტორინო | 24 | 9 | 8 | 7 | 45-36 | 35 |
| 10.სამპდორია | 24 | 9 | 6 | 9 | 29-30 | 33 |
| 11.კიევო | 24 | 9 | 5 | 10 | 25-31 | 32 |
| 12.უდინეზე | 24 | 8 | 5 | 11 | 27-32 | 29 |
| 13.სასუოლო | 24 | 8 | 3 | 13 | 33-40 | 27 |
| 14.ბოლონია | 24 | 7 | 6 | 11 | 23-37 | 27 |
| 15.კალიარი | 24 | 8 | 3 | 13 | 32-50 | 27 |
| 16.ჯენოა | 24 | 6 | 7 | 11 | 27-35 | 25 |
| 17.ემპოლი | 24 | 5 | 7 | 12 | 14-33 | 22 |
| 18.პალერმო | 24 | 3 | 5 | 16 | 20-45 | 14 |
| 19.კროტონე | 24 | 3 | 4 | 17 | 20-42 | 13 |
| 20.პესკარა | 24 | 1 | 6 | 17 | 22-55 | 9 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბური-ორლეანი ............................ 3:2

ლანსი-კლერმონი ............................ 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-მარიტიმუ ............................ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლისი-აეკი ............................ 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთეპი-ადანა ............................ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-პიასტი ............................ 2:1

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს ქრონიკულ ვენურ დაავადებას



ეკა ირემაშვილი

კიდურების შეშუპება დღის ბოლოს, სიმძიმის და წვის შეგრძნება არც ისე უცხოა ადამიანთა უმრავლესობისთვის. ეს ყველაფერი ხშირად უკავშირდება ქრონიკულ ვენურ დაავადებას, რომელიც მოსახლეობაში ე.წ. ვარიკოზის სახელით არის ცნობილი.

ქრონიკული ვენური დაავადების მართვაში დღესდღეობით უდიდესი ყურადღება ექცევა გენეტიკური და გარემო ფაქტორების ერთ მთლიანობაში განხილვას, პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურ წარმართვას და, რაც მთავარია, დროულ დიაგნოსტიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევას. სამკურნალო ღონისძიებები საკმაოდ მრავალფეროვანია და თითქმის ყველა შემთხვევაში გამოიყენება რამდენიმე მეთოდი.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში ძალიან ბევრი რამ კეთდება იმისთვის, რათა მოხდეს დაავადების დროული აღმოჩენა და შემდგომში ეფექტური მკურნალობა, ზრდასრული მოსახლეობის 60-70% მაინც არის დაავადებული ქრონიკული ვენური დაავადებების სხვადასხვა ფორმით. მისი სიხშირე განსაკუთრებით მაღალია ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში.

რა არის ქრონიკული ვენური დაავადება, როგორია სიმპტომები და რა გართულებები ახლავს თან, ამ თემებზე ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის პროფესორი, ანგიოქირურგი მამუკა ბოკუჩავა საუბრობს.

**მამუკა ბოკუჩავა:**

– სიტყვა „ვარიკოზი" უკანასკნელ პერიოდში პრაქტიკულად აღარ გამოიყენება, მას ქრონიკულ ვენურ დაავადებას უწოდებენ, რომელიც მიმდინარეობს 6 სტადიით. მის ძირითად მიზეზს წარმოადგენს სარქვლოვანი უკმარისობა. დაავადების განვითარება ხდება თანდათან ნულოვანიდან მეექვსე სტადიამდე.

***– როგორ იწყება დაავადება?***

– ყველაფერი იწყება 2-3 სიმპტომიდან, არასრულფასოვანი მკურნალობის შემთხვევაში დაავადება პროგრესირებს და მე-6 სტადიაზე ხდება ტროფიკული წყლულების განვითარებაც კი. რაც შეეხება ვარიკოზს, ეს არის მოცემული დაავადების ერთ-ერთი სტადია, კერძოდ, მეორე. ამ შემთხვევაში პაციენტს უკვე გამოხატული ვარიკოზული ვენური-სისხლძარღვოვანი ქსელი აქვს.

***– რა წარმოადგენს ქვედა კიდურების ქრონიკული ვენური დაავადების განვითარების მიზეზებს?***

– პირველ რიგში, გენეტიკური წინასწარგანწყობა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორსულობას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქვედა კიდურების ვარიკოზი უფრო სჭარბობს ქალბატონებში, ვიდრე მამაკაცებში. ასევე ხშირ ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს ჭარბი წონა, ასევე სამუშაო პირობები, რომელიც ხანგრძლივ ჯდომით მდგომარეობაში ან ცხელ გარემოში საქმიანობასთან არის დაკავშირებული. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გენეტიკური ფაქტორია.

***– ორსულებში მსგავსი გართულებები ხშირია?***

– ორსულობა ის მდგომარეობაა, რომელიც ათეულობით რისკის ფაქტორს წამოსწევს წინა პლანზე. მით უმეტეს, როდესაც პაციენტის გენეტიკა დატვირთულია ვარიკოზული დაავადების შემთხვევებით ახლო ნათესავებში. ათეულობით რისკ ფაქტორი გამოდის წინა პლანზე. მათ შორის ორსულებში ხშირია ჰიპერკოაგულაცია, შემდგომ უკვე მექანიკური – ქვემო ღრუ ვენაზე ზეწოლის ფაქტორი. რასაც საბოლოო ჯამში ქრონიკული ვენური დაავადების განვითარებამდე მივყავართ.

***– რა სიმპტომები აქვს ქრონიკულ ვენურ დაავადებას?***

– ნულოვანი სტადია მიმდინარეობას ვიზუალური გამოვლინების გარეშე. პაციენტს დღის ბოლოს ქვემო კიდურებში აქვს სიმძიმის, წვის შეგრძნება და შესაძლოა შეშუპება. პირველი სტადიის შემთხვევაში გვაქვს კაპილარული ობობასებრი ქსელი. მეორე სტადია – ვარიკოზული გამოვლინება. მესამე სტადია – ყველა ეს გამოვლინება შეშუპების მუდმივ სიმპტომებთან ერთად. მეოთხე სტადიის დროს გვაქვს ჰიპერპიგმენტაციის უბანი. მეხუთე სტადია – შეხორცებული ტროფიკული წყლული. მეექვსე სტადია – ღია, აქტიურად მიმდინარე ტროფიკული წყლული.

***– რა გართულებები ვითარდება ქრონიკული ვენური დაავადებების დროს?***

– გართულებები ცნობილია ვენური თრომბოემბოლიზმის სახელით, რომელიც გულისხმობს როგორც ღრმა და კანქვეშა ვენების თრომბოზს, ასევე თრომბოემბოლიურ გართულებას. ყველაზე რთული ეს არის ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიით გართულება, რომელიც ძალიან ხშირად ფატალურად სრულდება.

***– როგორ ხდება დაავადების დიაგნოსტირება?***

– დიაგნოსტირების ძირითად მეთოდს წარმოადგენს ულტრაბგერითი კვლევა, მისი გამოყენებით შესაძლებელია მოხდეს დროული და სრული დიაგნოსტირება, რასაც უდიდესი როლი ენიჭება.

როგორც წესი, ქრონიკული ვენური დაავადების მკურნალობა არის კომპლექსური და, როგორც წესი, ის ითვალისწინებს რამდენიმე მეთოდის გამოყენებას. კერძოდ, კომპრესიული ტრიკოტაჟის ტარებას, მედიკამენტურ თერაპიას, სკლეროთერაპიას, ულტრაბგერით, ლაზერულ, ორთქლით აბლაციას, ქირურგიულ მკურნალობას. მკურნალობის მეთოდების შერჩევა ხდება ექიმის მიერ ინდივიდუალურად.

***– რა მნიშვნელობა აქვს სამკურნალო ფიზკულტურას?***

– სამკურნალო ფიზკულტურა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანს სამსახურში ძირითადად მჯდომარე მდგომარეობაში უწევს ყოფნა. ყოველთვის ვურჩევთ პაციენტებს, რომ თავისუფალ დროს აუცილებლად დაკავდნენ ფიზიკური აქტივობით. ვარჯიშით, სირბილით, ცურვით და ა.შ. იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით.

***– ბოლო პერიოდში ხშირად მიმართავენ ლიმფოდრენაჟულ მასაჟს, რამდენად რეკომენდებულია ის ვარიკოზის მქონე პაციენტებისათვის?***

– რაც შეეხება ლიმფოდრენაჟულ მასაჟს, სახელიდან გამომდინარე ჩანს, რომ გამოიყენება ლიმფოსტაზის, ლიმფედემის და ქრონიკული ვენური დაავადების დროს. სწორად ჩატარებული ლიმფოდრენაჟული მასაჟი საკმაოდ ეფექტურია.

***– კოსმეტიკური პროცედურებიც ეფექტურია?***

– სწორედ კოსმეტიკაზე მუშაობს სკლეროთერაპია, კაპილარული ქსელის კოაგულაციური, ლაზერული აბლაცია. კაპილარებზე ჩარევები სწორედ ამ პროცედურების საშუალებით არის შესაძლებელი. ჩვენ ვიყენებთ ლაზერულ აბლაციას ქირურგიული მიზნით. კაპილარების მოცილება ეს კოსმეტოლოგების პრეროგატივაა.

***– რა პროფილაქტიკური ღონისძიებები შეიძლება გატარდეს, რომ ადამიანმა თავი დაიცვას ქრონიკული ვენური დაავადებისგან?***

– ფიზიკური აქტივობა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მით უმეტეს, თუ ადამიანის გენეტიკა დატვირთულია. ამ შემთხვევაში პაციენტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ არსებული წინასწარგანწყობის გამოვლენას ხელი შეუშალოს. ზოგადად კი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორის შემცირებას უნდა ვეცადოთ.

ძალიან მნიშვნელოვანია ორსულობის პერიოდში პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება. ყველას ვურჩევ იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით და აუცილებლად აკონტროლონ წონა, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების შემჩნევის შემთხვევაში, აუცილებლად მიმართონ ექიმს, რათა თავი აარიდონ გართულებებს.


# განცხადება

„საქართველოს ყრუთა კავშირის" წევრთა 1/10 ოდენობის საინიციატივო ჯგუფი გაცნობებთ, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე 2015 წ. 29 მარტს „საქართველოს ყრუთა კავშირის" არჩევნების (კენჭისყრის) შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

2017 წლის 19 მარტს, 14 საათზე მოწვეულია „საქართველოს ყრუთა კავშირის" რიგგარეშე საერთო კრება (ყრილობა).

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №17 (რუსთაველის თეატრის შენობა).

<u>დღის წესრიგი:</u>

**1. კავშირის გამგეობის თავმჯდომარის (პრეზიდენტის) არჩევა;**
**2. კავშირის გამგეობის (პრეზიდიუმის) არჩევა;**
**3. კავშირის წევრისა და თარჯიმან-დაქტოლოგის დამადასტურებელი მოწმობების ნიმუშების შეცვლა.**

**კავშირის პრეზიდენტის კანდიდატობის მსურველებმა გთხოვთ წარმოადგინოთ:**

**1. განცხადება;**
**2. ავტობიოგრაფია (CV);**
**3. 2 ფოტოსურათი (3X4).**

**განცხადებები მიიღება „საქართველოს ყრუ ვეტერანთა კავშირის" ოფისში. მისამართი: ქ.თბილისი, ყიფიანის ქუჩა №6. განცხადებები მიიღება 6 მარტის 18.00 საათამდე.**



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# ასტროპროგნოზი

## 15 თებერვლისთვის



**ვერძი** – ეს დღე თამამად შეგიძლიათ მიუძღვნათ სიყვარულს, ოჯახურ ურთიერთობებს, ახალ ნაცნობობას, რომელიც ხანგრძლივ და სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობაც. **კურო** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გაუმართლებთ იმათ, ვინც რემონტს ან ბინის ინტერიერის განახლებას აპირებს. ფულის ნებისმიერი სახით დაბანდება მომგებიანი იქნება. **ტყუპები** – შანსი გეძლევათ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. განსაკუთრებით იღბლიანი დღის პირველი ნახევარია. **კირჩხიბი** – ფრთხილად იყავით. დიდია ახლობელთან კონფლიქტის ალბათობა. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას მეგობრებთან. **ლომი** – რთული დღეა. მამაკაცები უნდა ერიდონ ფიზიკურ გადაღლას. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – ჯანმრთელობის კუთხით პრობლემებია მოსალოდნელი. დღეს დაისვენეთ, დაიცავით კვების რეჟიმი. **სასწორი** – ნუ იაქტიურებთ. დეპრესიული დღეა. უმჯობესია გაერთოთ, წახვიდეთ თეატრში ან კონცერტზე. **ღრიანკალი** – ზომიერების დაცვა, სიყვარული და თანხმობა დღის დევიზია. კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. **მშვილდოსანი** – მომავლის გეგმები თამამად შეიმუშავეთ. გიმართლებთ. ნერვულ დაძაბულობას მოგიხსნით მოგზაურობა ან ბუნების წიაღში დასვენება. **თხის რქა** – ყოველგვარი ფინანსური საქმიანობა შეაჩერეთ. გადაწყვეტილებას ცხელ გულზე ნუ მიიღებთ. ერიდეთ ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრას. **მერწყული** – ყურადღებით იყავით საქმიანი ქაღალდების ხელმოწერისას. თქვენი თითოეული მოქმედება და საუბარი აკონტროლეთ. ფულს ნუ გაასესხებთ. **თევზები** – კონფლიქტური დღეა. კამათი და საქმის ნებისმიერი გარჩევა სკანდალით დასრულდება. ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. უბანი თბილისში; 2, დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 4. თავისუფალ გლეხთა კატეგორია საქართველოში ძველად; 5. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 11. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. უაზრობა, სისულელე; 15. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით; 16. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 17. მადრიდის „რეალში" მოთამაშე ფრანგი ფეხბურთელი; 20. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად**: 6. ქალაქის თავი გერმანიაში; 7. სამშობიარო სახლის სახელწოდება ძველად საქართველოში; 8. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 13. თაფლგამოცლილი ფიჭა; 14. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 19. ფრანგული მინერალური წყალი; 21. წრეხაზის ნაწილი; 22. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 23. ყველაზე ღრმა ტბა აფრიკაში; 24. კამათის, პაექრობის ხელოვნება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თული; 2. ჯანღი; 3. ალილო; 4. კოალა; 5. მიმინო; 6. იმელმანი; 8. ანტვერპენი; 10. გლინტვეინი; 11. პერგამონი; 14. ჰიტროუ; 15. კეხანა; 16. ხირსა.

**თარაზულად:** 1. თერჯოლა; 4. კიმიგაიო; 7. ლიანა; 9. ვოლგა; 12. ბოჰემა; 13. ატაშე; 14. ჰერეთი; 17. ოპიუმი; 18. ოლიგოფრენია; 19. ვიოლინო; 20. ლამარა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მუზა; 2. სიდრი; 3. ალეპო; 4. წყალი; 5. წყნეთი; 6. რეციდივი; 8. რეზერვაცია; 10. ნოქალაქევი; 11. სირაქლემა; 14. ხერესი; 15. ქაშაყი; 16. კანიო.

**თარაზულად:** 1. მარსალა; 4. წიწამური; 7. ზონდი; 9. კორნი; 12. სინუსი; 13. გზირი; 14. ხუცესი; 17. მარალი; 18. ალექსანდრია; 19. კარწახი; 20. ბონუსი.

# შოტლანდიელს ლატარიაში მოგებამ ცხოვრება გაუფუჭა



შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის მცხოვრებმა, რომელმაც ლატარიაში მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო, მისი ორგანიზატორები მისთვის ცხოვრების გაფუჭებაში დაადანაშაულა.

ჯეინ პარკმა ჯეკპოტი 17 წლის ასაკში მოიგო, როდესაც პირველად იყიდა ლატარიის ბილეთი. ოთხი წლის შემდეგ გოგონა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მას მსხვილი მოგება არ უნდა მიეღო, სანამ სრულწლოვანებას არ მიაღწევდა. გოგონამ ჟურნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ მას მოსწყინდა ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი ჩასაცმელების ტარება და ძვირად ღირებულ კურორტებზე დასვენება.

— ზოგჯერ მეჩვენება, რომ ლატარიაში გამარჯვებამ ცხოვრება დამინგრია, — განაცხადა გოგონამ.

პარკის თქმით, მსხვილმა თანხამ ის სერიოზულ სტრესულ მდგომარეობამდე მიიყვანა.

— ჩემი აზრით ადამიანმა ლატარიაში დიდი თანხა 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ უნდა მოიგოს, — ამბობს ის. გათამაშების ორგანიზატორები გოგონას ფინანსურ კონსულტაციას სთავაზობდნენ, მაგრამ ოჯახის წევრების რჩევები არჩია.

# აეროსმიტის ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კონცერტი აღარ არის



ლეგენდარული როკ ჯგუფის „აეროსმიტის“ ოფიციალურ ვებ გვერდზე ევროპული ტურნეს საკონცერტო განრიგია გამოქვეყნებული.

საქართველოში ჯგუფი კონცერტს 20 მაისს გამართავს, თუმცა საკონცერტო ტურნეს ჩამონათვალში ბლექ სი არენაზე დაგეგმილი კონცერტი არ არის დაფიქსირებული.

ჯგუფის ჩამოყვანა სახელმწიფოს 6 მილიონამდე უჯდება, რასაც საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა.

აეროსმიტის კონცერტთან დაკავშირებით, ინტერნეტში ჯგუფის ერთ-ერთი წევრის სპეციალური ვიდეომიმართვაც გავრცელდა, მაგრამ კონცერტის შესახებ ინფორმაცია ვებ გვერდზე ამ ეტაპზე არ იძებნება.

ბლექ სი არენას წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებენ და აცხადებენ, რომ კონცერტი გაუქმებული არ არის და ვებ გვერდიდან ინფორმაციის გაქრობა ტექნიკურ პრობლემას უკავშირდება.

საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელის დიმიტრი ბერიძის ინფორმაციით, კონცერტი არ გადადებულა და აეროსმიტის საიტზე, ევროპაში დაგეგმილი ტურის ჩამონათვალში საქართველოს შესახებ ინფორმაციის ამოღება ტექნიკურ საკითხებს უკავშირდება.

როგორც დიმიტრი ბერიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, არანაირი საფრთხე არ არსებობს და კონცერტიც არ გადადებულა:

— რამე რომ ყოფილიყო, ჩვენ გავაკეთებდით განცხადებას. ხელშეკრულება გაფორმებულია და ჰონორარის ნახევარი გადარიცხულია. არანაირი პრობლემა არ არის, ტექნიკურად ასწორებენ რაღაცას, პაკეტებს ქმნიან, რა პაკეტების მიხედვითაც ლინკები უნდა მიებას. მალე დადებენ, მეც მივწერე წერილი და მალე გაასწორებენ.

აეროსმიტი 47 წლის წინ შეიქმნა და მის ანგარიშზე 15 სტუდიური ალბომია. ჯგუფი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოზე გრემიზე 16-ჯერ იყო წარდგენილი, თუმცა მისი მოპოვება მხოლოდ 4-ჯერ შეძლო.

47 წლიანი კარიერის განმავლობაში აეროსმიტმა მსოფლიოს მასშტაბით 150 მილიონზე მეტი ჩანაწერი გაყიდა და ყველა დროის ყველაზე კარგად გაყიდვადი ბენდები გახდა.

# ჩინელ ჩინოსნებს სიზარმაცესთან ბრძოლის თათბირზე ჩაეძინათ

ექვსი ჩინოსანი ჩინეთის პროვინცია ჰუბეიდან თათბირზე ჩაძინების გამო დასაჯეს, რომელზეც ზარმაც და ზანტ ბიუროკრატებზე მიმდინარეობდა მსჯელობა.

ინციდენტი სიანიანის ოლქის საქალაქო საბჭოზე მოხდა. ერთ-ერთი ჩაძინებული ჩინოსანი ფონდის დირექტორის მოადგილე აღმოჩნდა, რომელიც სოციალურად დაუცველების საცხოვრებლებით უზრუნველყოფის დაფინანსებას ახდენს.



მეორე ჩაძინებული ჩინოსანი ჩინეთის კომუნისტური პარტიის სამოქალაქო დაგეგმარების ბიუროს სამდივნოს თავმჯდომარის მოადგილეა.

ჩაძინებული ჩინოსნების ფოტოსურათები, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა, ჩინეთის სოციალურ ქსელებში დიდი განხილვის და მსჯელობის საგნად იქცა. ამ თემით მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებიც დაინტერესდნენ, რასაც შემდეგ ხელისუფლების რეაქციაც მოჰყვა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის სიანიანის ოლქის დისციპლინარულმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დამნაშავე ჩინოსნებმა საკუთარი საქციელის გამო ბოდიში უნდა მოიხადონ და პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში თვითკრიტიკული წერილები გააგზავნონ.

# თვითმფრინავის ბიჭებზე გადაღებული ფილმის პირველი კადრები გავრცელდა

ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე რეზო გიგინეიშვილის ახალი ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართება.

„მძევლები“ — ასე ეწოდება ფილმს, რომელიც რეალურ ამბავზეა დაფუძნებული. რეჟისორის ინსპირაციის წყარო 1983 წელს მომხდარი თვითმფრინავის გატაცების ისტორია გახდა. სცენარი რეჟისორთან ერთად ლაშა ბუღაძემ დაწერა. თვითმფრინავის ბიჭებზე გადაღებული ფილმი საქართველოს, რუსეთის და პოლონეთის ერთობლივი ნამუშევარია.



მსოფლიო პრემიერამდე ფილმი პრესის წარმომადგენლებმა ნახეს და სპეციალური რეცენზიებიც მიუძღვნეს. ინტერნეტში კი ბერლინალეს ოფიციალურ ვებ გვერდზე „მძევლებიდან“ პირველი კადრები გავრცელდა, სადაც ქორწილის სცენაა გადაღებული.

ფილმში თინა დალაქიშვილი, ირაკლი კვირიკაძე, მერაბ ნინიძე, დარეჯან ხარშილაძე და სხვა ცნობილი ვარსკვლავები მონაწილეობენ. გადაღებებში მასშტაბური სცენებისთვის შემოქმედებითმა ჯგუფმა ქართული ჯარი გამოიყენა და სპეციალურად ტუ 134-იც შეიძინა.

# ზღვამ ბრიტანეთის სანაპიროზე 360 კილოგრამი კოკაინი გამორიყა

ბრიტანეთის ნორფოლკის საგრაფოს სანაპიროზე ზღვის ტალღებმა დაახლოებით 360 კილოგრამი კოკაინი გამორიყა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემები ავრცელებენ.



ნარკოტიკების ძირითადი ნაწილი ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე სოფელ ჰოლტონ-ონსის მახლობლად გამოირიყა. კოკაინი რამდენიმე წყალგაუმტარ ჩანთაში იყო მოთავსებული. დანარჩენს კი დასახლებულ პუნქტ კეისტერ-ონ-სის პლიაჟზე მიაკვლიეს, რომელიც 16 კილომეტრითაა დაშორებული პირველ ადგილს. ნაპოვნი ნარკოტიკების ჯამური ფასი 50 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

მომხდარის გამოძიებას ბრიტანეთის დამნაშავეობასთან ბრძოლის სააგენტო აწარმოებს.

— ჩვენ სასაზღვრო ძალებთან, სანაპირო დაცვასთან და ნორფოლკის პოლიციასთან ვთანამშრომლობთ, რათა დავადგინოთ, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ჩანთები ამ ადგილას, — განაცხადა სააგენტოს გამომძიებელმა მეთიუ რივერზმა, რომელმაც იქვე დაამატა, — ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ადგილი ყოფილიყო მათი დანიშნულების ადგილი.

ნორფოლკის პოლიციამ მოსახლეობას მოუწოდა, რომ არ შეწყვიტონ ნარკოტიკების ძებნა და მათი პოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ სამართალდამცავ ორგანოებს.

# კაცხის მონასტრის რეაბილიტაციისთვის 1.000.000 ლარი დაიხარჯება



კაცხის მონასტრისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისთვის 1.000.000 ლარი დაიხარჯება.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი ითვალისწინებს ღია ტერასის მოწყობას, წყაროს აღდგენა-მოპირკეთებას, ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, გარე წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების მონტაჟს, ფერდზე, ტურისტებისთვის გადასახედი, ღია აივნის მოწყობას.

რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს. მისი ღირებულება მილიონ ლარს აჭარბებს, ხოლო პროექტი 2017 წლის აპრილში დასრულდება.

ძეგლის საკონსერვაციო სამუშაოების პარალელურად, სოფელ კაცხში, სამონასტრო კომპლექსის წინ შენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტურისტული ცენტრი, რომელიც სრულად აღიჭურვება გამართული საქმიანობისთვის საჭირო ავეჯით. პროექტის დასრულება მიმდინარე წლის აპრილში იგეგმება.

პროექტის დასრულების შემდეგ სამონასტრო კომპლექსთან გაუმჯობესდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც მეტ ტურისტს მოიზიდავს და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მიიჩნევს საქართველოს მთავრობა.

# ესპანელი ყველაზე მომხიბვლელ მამაკაც ექთნად აღიარეს



ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის ერთ-ერთი საავადმყოფოს თანამშრომელმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში სახელი გაითქვა, როგორც მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელმა ექთანმა მამაკაცმა.

საავადმყოფოში მუშაობის გარდა, ფრენ სუარესი ასევე მუშაობს მოდელად და ცეკვავს. ესპანელი ენერგიულობასა და მომხიბვლელობას დარბაზში რეგულარული ვარჯიშით ინარჩუნებს. ასევე მას საკუთარი გვერდი აქვს სოციალურ ქსელ ინსტაგრამში. სუარესი საკუთარ გვერდზე ტვირთავს როგორც საავადმყოფოში გადაღებულ ფოტოსურათებს, ისე სპორტული დარბაზის გასახდელსა და სააბაზანოში გადაღებულ ფოტოებსაც. მის აკაუნტს სოციალურ ქსელში 54,6 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რუსა ჩაჩუა დედა მეოთხედ გახდება



მოდელი რუსა ჩაჩუა მეოთხე შვილს ელოდება. მას და მის მეუღლეს დიმა ნაფეტვარიძეს კიდევ ერთი პატარა ეყოლებათ.

ინფორმაცია ამის შესახებ ლამაზმანმა თავად გაავრცელა. რუსას პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ქალ-ვაჟი ჰყავს, დიმა ნაფეტვარიძესთან კი ერთი გოგონა ჰყავს.

რუსა ჩაჩუა ფართო საზოგადოებამ მუსიკალური შოუ „ბრავოს“ წამყვანობიდან გაიცნო. ტელევიზიას მოდელი მალევე ჩამოშორდა და სამოდელო კარიერას დაუბრუნდა, თუმცა სამი წლის წინ დიმა ნაფეტვარიძეზე გათხოვდა. წყვილმა ჯვარი სამების ტაძარში დაიწერა. მათი პატარა გოგონა ნატაშა ამ ზაფხულს 2 წლის გახდება. მოდელის უფროსი შვილი თაზო 15 წლისაა, შუათანა ნადია კი 7 წლის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

**☎ 599-73-48-21.**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 15 თებერვალი**

**07.00** დოკ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **08.00** ანიმაცია."ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00**"მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **15.00** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00**"მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის **1/8** ფინალური მატჩი **01.40** მხ/ფ "**ფსიქო**"

**08.00** დ/ფ "კოდის კონცხი" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**კოვბოებს ასე სჩვევიათ**" (ვ.ჰარელსონი) **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვრდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.45 ფეხბურთი** — ჩემპიონთა ლიგის **1/8** ფინალური მატჩი

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.20** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**თავისუფლები**" **01.35** მხ/ფ "**ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე**" **03.25** მხ/ფ "**დესანტის ზონა**"

**06.00, 18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **00.00** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**აგენტი ფაფი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**შმიდტის შესახებ**" **02.20** მხ/ფ "**ეშმაკი პრადას ატარებს**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "ობოლი სული-ივანე მაჩაბელი" **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "გლიპტიკა და მინანქარი" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** საუფლონი "მირქმა" **15.45** დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **16.45** საუფლონი "მირქმა-ლამპრითა სულიერითა" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ფესვები**" **20.40** ძილი ნებისა "ლიდია უფლის ოჯახს ეგებება, სოლომონ ბერი და ბერიკაცი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "გრიგოლ აბაშიძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ქვიშით ნაამბობი **01.00** დ/ფ "შვიდკაცა" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.45** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6288

ევრო — 2.7957

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2892

100 რუსული რუბლი — 4.5355

## ამინდის პროგნოზი 15 თებერვლისთვის







## 14 თებერვლიდან

რევაზ მიშველაძე

# ჩურჩულს გადარჩეული კაცი

მაგარი ყდა, 826 გვერდი

რევაზ მიშველაძის ეს რომანი 2010 წელს მიჩნეულ იქნა წლის საუკეთესო რომანად.

მასში მოთხრობილია საქართველოს ბოლო პერიოდის ცხოვრება – 9 აპრილი, ეროვნული მოძრაობა, 1993 და 2008 წლების ომები რუსეთის წინააღმდეგ.

ნაწარმოებში არის სიყვარულის დრამატული ისტორიაც და ჩაძინებული საქართველოს გაღვიძების ავტორისეული სურვილიც. ზოგი პერსონაჟი თავისი გვარითაა წარმოდგენილი, ზოგი კი – იმგვარი მინიშნებით, მკითხველს ამოცნობა რომ არ გაუჭირდება.

**ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი**

## 10 თებერვლიდან

თედორე დოსტოევსკი

# მკვდარი სახლის ჩანაწერები




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




## 13 თებერვლიდან

ევგენი ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი

ეს წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს, რომელიც შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის საიდუმლოებებს.

ევგენი ჯუღაშვილი იოსებ სტალინის 8 შვილიშვილიდან ერთადერთია, რომელიც თავისი პაპის თანამოაზრეა.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# ესპანეთის თასის ფინალი ვისენტე კალდერონზე ჩატარდება

ცნობილი გახდა ადგილი, სადაც ესპანეთის თასის ფინალი ჩატარდება.

ფინალურ შეხვედრას, ისევე, როგორც შარშან, ვისენტე კალდერონი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ამ სტადიონზე ბოლო მატჩი იქნება, რადგან მომავალი წლიდან მადრიდის ატლეტიკო ახალ სტადიონზე იასპარეზებს.

ფინალური შეხვედრის ჩატარება სანტიაგო ბერნაბეუზე იგეგმებოდა, მაგრამ რეალმა უარი თქვა და მიზეზად სარემონტო სამუშაოები დაასახელა.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ სინამდვილეში რეალის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს არ სურს, რომ მის სტადიონზე ბარსელონამ თასში გამარჯვება იზეიმოს.

ბარსელონას მეტოქე ფინალში ალავესი იქნება და კატალონიური გუნდი ამ მატჩის უპირობო ფავორიტად ითვლება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*






# იუმორი

მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს, მაგრამ გვერდით კლასიდან გამომავალი ხმაური ხელს უშლის. ბოლოს ვეღარ მოითმინა, გავიდა, მთავარ ამრევს ყურში ხელი სტაცა და საკუთარ კლასში შემოათრია. გვერდით კლასში სიჩუმემ დაისადგურა. გარკვეული დროის შემდეგ კარზე კაკუნი გაისმა. მასწავლებელი კარს აღებს, იქ კი მოსწავლე დგას და მორიდებით ეუბნება:

– პატივცემული, იქნებ ჩვენი მასწავლებელი დაგვიბრუნოთ?

•••

სიჩქარის გადაჭარბებისთვის პატრულმა მამაკაცი გააჩერა და ჯარიმის ქვითარი გამოუწერა. გაბრაზებული მძღოლი ჯარიმის გადახდის შემდეგ პოლიციელს ეკითხება:

– ეს ქვითარი რაღაში მჭირდება?!

– შეინახე და, 12 ცალი რომ მოგიგროვდება, საჩუქრად ველოსიპედს მიიღებ.

•••

კაცის მეზობლად კარგი შესახედაობის, მაგრამ ჭკუანაკლული ქალი ცხოვრობს. ერთხელაც მისი მშობლები სხვაგან წავლენ და მეზობელს სთხოვენ, რომ ქალს ყურადღება მიაქციოს. საღამოთი უკან დაბრუნებულები ხედავენ, კაცს შარვალი ჩახდილი აქვს, ქალი კი მის სიმდიდრეს ათამაშებს. მიცვივდებიან წივილ-კივილით:

– შე სასიკვდილე, რას შვრები... ეს რა მიგიცია...

– თქვე შობელძაღლებო, მა მაკრატელს ხომ არ მივცემდი, თვალი რომ გამოეთხარა?!

•••

ქალი მეზობელ მამაკაცს ეკითხება:

– რაზე ფიქრობ?

– იმაზე, რაზეც შენ.

– უი, მეხი კი დაგაყარე, მეზობლებს შორის და თანაც ასეთ სიცხეში მაგის დროა?

•••

ოსს კბილის ექიმი ეუბნება:

– წადი და სახლში ერთ თვის მანძილზე ყოველდღე ვაშლი ჭამე, რომ კბილები გაგიმაგრდეს.

ერთი თვის მერე ოსი ისევ მივიდა ექიმთან და ეუბნება:

– სენი წილიმე ექიმო, ლოგოლც სენ დამალიგე, ყოველდღე ვაშლს ვჭამდი.

– და როგორ ჭამდი, დაჭრილს თუ მთლიანს?

– ცოლი მიხეხავდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი




**შვეულად:** 1. ბრიტანული ტაქსი; 2. მარადმწვანე მცენარე; 3. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 4. ფარისებრი ჯირკვლის ანთება; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 6. ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 8. საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნი; 10. მთავრობის ან სამხედრო უწყების შიკრიკი; 11. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 14. დიდი კაშკაშა მეტეორი; 15. პენალტი ჰოკეიში; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. მოწინააღმდეგის დაშინების ხერხი პოკერში; 9. ფრანგი შანსონიე ქალი; 12. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტორა ბადროსმტყორცნელის ავტორი; 13. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 14. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 17. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 18. რუსეთში მოღვაწე ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი; 19. პროდუქტზე დაკრული სასაქონლო ნიშანი; 20. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილი*




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 16 თებერვლიდან

ვაჟა ფშაველა

# ქუდოვანი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 15 თებერვლიდან

სტეფანი მეიერი

# დაბნელება

„დაბნელება“ სტეფანი მეიერის „ბინდის“ საგის მესამე წიგნია. საგის ამ ნაწილში ბელა ისევ საფრთხეშია – შურისგებით აღსავსე ვიქტორია ახალშექმნილ, უკონტროლო ვამპირთა არმიით ცდილობს მის განადგურებას.

ეს საკმარისი მიზეზია საიმისოდ, რომ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მოძულე მაქციები და კელენების ოჯახი საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**







## 17 თებერვლიდან

გაბრიელ გარსია მარკესი

# ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# გაბრიელ ჟესუსმა ტრავმა მიიღო

ორშაბათს ღამით მანჩესტერ სიტიმ სტუმრად ბორმუტი დაამარცხა 2:0 და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

გამარჯვების მიუხედავად, შეხვედრაში სიტისთვის ერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა – ტრავმა მიიღო ახალგაზრდა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა გაბრიელ ჟესუსმა, რომელმაც მოედანი უკვე მატჩის მე-15 წუთზე დატოვა.

ჯერჯერობით ზუსტი ინფორმაცია არ არის, თუ რამდენ ხანს გამოტოვებს ჟესუსი, მაგრამ, სავარაუდოდ, ტრავმა სერიოზულია და შესაძლოა ბრაზილიელმა 2 თვე ვერ შეძლოს მოედანზე გამოსვლა.

ჟესუსს სიტიში ძალიან კარგი დებიუტი ჰქონდა და მან 3 შეხვედრაში 3 გოლის გატანა შეძლო.




ლურჯი წითელი ყვითელი შავი